

ავტოპილოტი

ზაფხული, 2013



sms, email, ფორუმების, ბლოგებისა და
ციფრული ტექსტის ბეჭდვითი ორგანო

ISSN 2298-0628



9 772298 062008

(c) Global Darkness Publishing /
zigota.wordpress.com /
ჟურნალი “ავტობილოტი” /

Cover:

The Palm Tree by Smurfesque on DeviantArt

Special Thanks: Temo Machavariani

UDC (უაკ) 050.9:821.353.1

ა-346

სარჩევი

- ორი სიტყვით ჟურნალის შესახებ - 6
- ესსე: ნონკონფორმისტების საგა - 8
პაკ ჩალანიკი
- პიესა: ნანუკა და ღმერთები - 26
გიორგი მასხარაშვილი
- მოთხრობა: სერფინგისტი ჟორა - 32
გიორგი მაჭავარიანი
- გამოუქვეყნებელი სიზმრები - 76
by World Wide Dreams Web
- მოთხრობა: REZ001 - 85
ირინა აბრამიშვილი
- დიალოგები: GAIBABANA - 116
- SMS-კრებული - 123

ორი სიტყვით ჟურნალის შესახებ

ვისაც “ავტოპილოტის” პირველი ნომერი არ გინახავთ, შეგახსენებთ, რომ ჟურნალი ბეჭდავს ციფრული მიმოწერისას სპონტანურად თუ ძალისხმევით გაჩენილ ტექსტებს, რომლებიც, ხშირ შემთხვევაში, მათი დაწერის დროს, არ იყო გამიზნული კონკრეტულ ლიტერატურულ ფორმებად.

რედაქტირების პროცესი ამ ტექსტებს მშრალი სიტყვების გროვიდან ადვილად წასაკითხ და, რაც მთავარია, თავშესაქცევ ექსპერიმენტულ პროზად გადააქცევს.

ინტერაქტიული ტექსტების ბეჭდური გავრცელების გარდა, “ავტოპილოტის”

დამატებითი ამოცანაა ახალი ქართული მოკლე მოთხრობის პოპულარიზაცია, რასაც ჟურნალი ნაკლებად ცნობილი ან სრულიად უცნობი ავტორების გამოქვეყნებით ეცდება.

“ავტოპილოტის” პრიორიტეტი უფრო ინდივიდუალური შეგრძნებების ზუსტი გადმოცემის უნარია ვიდრე ამა თუ იმ ავტორის სამწერლო ბეჭერაუნდი და პროფესიონალიზმი, რითაც ჟურნალი ცდილობს ავტორის ცნების დესაკრალიზაციას და მკითხველისთვის იმ მატერიების ჩვენებას, რომლებიც ტრადიციული ლიტერატური ფორმების მიღმა დგას.



> ესე ჩართვებით

ქართველი ნონკონფორმისტების საგა

პაკ ჩალანიკი



ზუსტად რა დღე და რიცხვი იყო
არ მახსოვს, საერთოდ, ქართველი
ნონკონფორმისტის პირველი წესია
თარიღი არ უნდა გახსოვდეს,
განსაკუთრებით მაშინ, როცა ტექსტზე
მუშაობ. აქ ფანტაზია უნდა მოიშველიო
და თარიღი მოარგო ამბავს და არა
პირიქით. შენ მოირგო თარიღი და არა
პირიქით.

მოკლედ, ზაფხულია, ასე ორი-
სამი კვირის წინ, ლიტერატურული
პრემია “საბას” დაჯილდოვების მერე,
იმედგაცრუებული გამოვდივარ
მარჯანიშვილზე. ჩემს ძმაკაცს, პაატა
შამუგიას, “საბა” არ გადასცეს, გივის
მისცეს ალხაზიშვილს. არ ვიცი ახლა
გივი რამდენად იმსახურებდა მაგას, ის
კრებული არ მაქვს წაკითხული, მარა
რამდენიმე ლექსი, რაც ვიცი დიდად
არ დამევასა. კაროჩე, მოვდივარ და
ვურეკავ სანდრიკას, ნავერიანს, ეგეც
ნონკონფორმისტია, წიგნი გამოსცა
ცოტა ხნის წინ და მწერლის სტატუსიც

გაირტყა. მე, ნაფტა და ზომბი ვართ
ბროსეში და მოდიო.

ბროსეს ბაღი რაღაც აღთქმული
ქვეყანასავითაა მგონი, მე პირველად
ვარ იქ. მთელი ცხოვრებაა ამ ქალაქში
ვცხვრობ და მხოლოდ მარშუტკიდან
მაქვს ამ ბაღის ვიზუალი შეცნობილი,
იქაური ბოჰემური და ხორციელი
ცხოვრება ჩემთვის უცხოა. პირველი
ნაბიჯი ბროსეში და იქ დანახული
და გაგონილი უკვე მამღლევს იმის
საშუალებას, რომ საკრალურობა
დავინახო. გვერდი-გვერდ მდგარ
სკამზე სვამენ “რელიგიის დასაცავად”
გამოსული სასტავი და ქართული
ნონკონფორმიზმის სამი იმედი: ნაფტა,
ზომბი და ნავარა. ერთმანეთს არ
ეხებიან, თავისთვის ატრაკებს ყველა.
ჰაერში საკმეველის და თანამედროვე
ქართული ბოჰემის – აცეტონის არყის
სუნის ნარევი ტრალეებს და საღბუნად
ედება მომავლის და დალაგებული
საზოგადოების პირობებში ცხოვრების

იმედებს.

ჩემს დანახვაზე ისინი სხვა სკამისკენ
ინაცვლებენ, ალბათ სივრცე არ
გვეყოფა. ამ სამს თან ახლავთ ვიღაც
გოგო, ჩემთვის უცნობი, რომელიც
როგორც აღმოჩნდა აბიტურიენტია
და გამოცდების მერე განტვირთვის
მიზნით დაეხეტება პარკებსა
და ბაღებში, პერსპექტიული
ახალგაზრდების გაცნობის იმედად.

ზომბი ჩალიჩობს ეს აბიტურიენტი
ნაშა ნაფტას დააჯახოს, ნაფტა ძალიან
ზარმაცი და წუწუნაა. ყველაფერი
ეზარება ტიპს, სექსიც და სიყვარულიც.

იმდენად ეზარება, რომ შეყვარებული
სადღაც გალაპაგოსის კუნძულებზე თუ
ეგეთ ეგზოტიკურ ადგილას გაიჩინა,
ვიღაც ქართველი გოგო გააძრო და
ტელეფონით ჩხუბობენ ხოლმე, მერე
ერთმანეთს ურიგდებიან და ორივე
ბედნიერად ცხოვრობს. გოგოს ეფსია,
ზომბი ნაფტას ავალებს ესკორტს და

ჩვენ ორივე ვბალელშიკობთ, მაგრამ ისედაც ცხადია, რომ იმ გოგოს მხოლოდ ტვინს მოტყნავს და სხვას არაფერს გაეკარება.

- მე მოვედი შენთან, ყვავილებით ხელში და ვივიწყებ წაგებულ ომს. – წაუმღერა ზომბიმ უკან დაბრუნებულ ნაფტას. რა საინტერესოა, არასოდეს მიფიქრია ამ სიმღერაზე ამ კუთხით. <censored> კიდევ ერთხელ მოვყავარ აღფრთოვანებაში ჩარკვიანის გენიოსობას და ქიმიური ნარევით – მირინდა+აცეტონის არაყი, ვიჭყიპები.

სანამ ჩვენ ნაფტას ვატერლოოზე ვსაუბრობთ, პაატა შამუგია მოგვადგა და საგზლად წამოღებული შუტკა მოიტანა, რომელიც იორიკის გონებამ შვა: “არა უშავს პაატ, ჩვენც დავბერდებით.” და აქვე საზეიმოდ, ყველაზე თესლი და ყველაზე ავთენტური საბა გადაეცემა პაატა შამუგიას. საზეიმოდ დავდე ფიცი,

რომ ცხოვრების ბოლომდე მისი ვარ. შეიძლება 2011 წლის არ ვარ, არც ბრინჯაოსი ვარ და არც რატი ამალლობელი მომფერებია, მაგრამ 1984 წლის მოსავლის საუკეთესო ნაჟური ვარ. ზუსტად ისეთი იდუმალი და ღვთაებრივი, ისეთი წვნიანი და ტკბილი, ისეთივე ბრძენი და დამდგარი, როგორც ათასრვაას რომელიღაც წელს ჩამოსხმული წითელი ღვინო. ჩავეხუტე და ვუთხარი, “მე შენი ვარ! მიმიღე! მაინც ყველანი პიდარასტები ვართ!” ვიცინით, ხუმრობა “უდაჩნად” დაჯდა.

ნელ-ნელა ალკოჰოლი გვიტევს, ახალ-ახალი პროექტები და მწერლები მოდიან, გაქაფულები ვართ. ვსაუბრობთ, კულტურული რევოლუციის ნამდვილი კოცონი გვაქვს დანთებული და ივლისის იშვიათი სიო წინაპარი “პიდარასტების” შვების ამოსუნთქვად გვეჩვენება. ჩვენი ღრეობა 90-იანი წლების თაობის ოცნებების

სასაფლაოზე გამართულ სატანისტოა ზეიმს გავს, სადაცაა ნაფტას დავკლავთ და მსხვერპლად შევწირავთ უდროოდ დაღვრილ ქართულ მუზას. ნაფტა წუწუნებს.

გონების სიღრმიდან წამოსული რევოლუციური სიო მის გამყინავ პროტესტში ჰოპვებს გამოძახილს.

დავცინით <censored>. კიდე ვიღაც ახალგაზრდა პოეტებს, სიყვარულის ხონჩებზე, ტრფიალის აღმურებზე, ალანძულ კდემაზე, ჯოკონდასებრ ღიმილზე და ყანწებზე რომ წერენ. ნიკოფსია რომ ენატრებათ და დარუბანდი ტკივათ, ტაო რომ გულს უჩქროლებთ და საინგილო თვალებს უცრემლებთ. თბილისური გაზაფხული რომ უყვართ და მყინვარის გოროზი რომ ამშვიდებთ. მაგათი დედა მოვტყანთ სულ ყველასი! ჩვენ ქართველმა ნონკონფორმისტებმა. და აქვე ვდებ ძალიან სერიოზულ

ფილოსოფიურ აზრს, ჩემი დინჯი,
მაგრამ მაინც გულმხურვალე
აზრით, ტერენტი გრანელობა და
გალაკტიონობა ისეთივე ყლეობაა
ჩვენს ეპოქაში, როგორც ბითლსის
და პინკ ფლოიდის სტილში
სიმღერა რადიოჰედის და დაფტ
პანკის დროში. ვთანხმდებით.
რაც ისეთია, კულტურული
რევოლუციის მანიფესტში რომ
უნდა ჩაიწეროს. ახალგაზრდა,
წვიმის, შემოდგომის, სიღრმის,
კავკასიონის, ბერმუხის, ტოროლის
და სხვა ასეთი დედამოტყნულობების
პოეტებს ხელები უნდა დავაჭრათ,
მათი ფანი გოგოშკები სამუდამოდ
გადავხვეწოთ უკაცრიელ კუნძულებზე
და აქ დაწყველილი და უარყოფილი,
არნაკურთხი და არალეგალიზებული
არყიანი ყლეები სანატრელი
გავუხადოთ მთელი თავიანთი
ცხოვრება.

<censored> ამბობენ, სამუშაო მაგიდაზე,

აი იქ, სადაც ლექსებს წერს, მიკარება არ შეიძლებაო. სხვა არავინ უნდა შეეხოსო. მუზა თუ მისი მადლი მიდის, არ ვიცი. მოკლედ საკრალური მაგიდა აქვს. რა დიდი სიამოვნებით მოვუჯვამდი მაგ მაგიდაზე, ნეტა იცოდეს!

მერე ვასკვნით, რომ მაგარ ყლე საზოგადოებაში ვცხოვრობთ, კი არადა ქვეყანაში – ან ორივეში. მოკლედ, გინდა არ გინდა, ადამიანი შეიძლება ხელისუფლების მხარეს აღმოჩნდე.

უკვე დავთვერით. და მე მეხსნება მუზა, მახსენდება, რომ ოდესღაც ფოქს მალდერობა მინდოდა, მერე ინდიანა ჯონსობა და ახლა პედრო ალმადოვარი მინდა ვიყო. არა, დაჟე უფრო თესლი როჟა. და ვდებ ჩემს სცენარს, რომელიც ასე გამოიყურება:

(ქუჩაში დგას ბირჟა. მათ უახლოვდება ყოვლად გაურკვეველი წამომავლობის ადამიანი – სახელად ილია. აქ კადრი გაი რიჩულად ჩერდება და ეწერება –

ილია).

ილია: გამარჯობა მეგობრებო!

ბირჟა: გაგიმარჯოს ძმაო!

ილია: თქვენ იცით, რომ ირანში
ჰომოსექსუალებს სიკვდილით სჯიან?
საჯაროდ ახრჩობენ, ამწეებზე კიდებენ.
აი ერაყში კი საერთოდ გაუგონარი
მეთოდი აქვთ, ჰომოსექსუალს იჭერენ,
ანალურ ხვრელში წებოს უსხამენ, როცა
ეს წებო გაშრება მას კუჭის გამხსნელ
წამალს ასმევენ და ნელ-ნელა ტანჯვით
კლავენ. ჰიტლერმა, მაშასადამე,
საკონცეტრაციო ბანაკებში გაამწესა
გეები და იქ ამოხოცა, ხოლო საბჭოეთში
და პოსტ საბჭოეთში ჰომოსექსუალობა
სისხლის სამართლის დანაშაულად
ითვლებოდა 90-იან წლებამდე.

ბირჟავიკი 1: მერე?

ილია: ახლა მე მაინტერესებს რომლები
ემხრობით ამას და რომლები არა. ნუ ამ
ყველაფერს რაც მოგიყევით. ჰოდა ვინც

ემხრობით ისინი მარცხნივ დადექით,
ხოლო ვინც არ ემხრობით მარჯვნივ.

(ორნი დგებიან მარჯვნივ და
დანარჩენები მარცხნივ – ასე 5 კაცი).

(ილია მიდის იმ ორთან, რომლებიც
მარჯვნივ დადგნენ. ამ დროს სამივე
იჩითებიან სადღაც სცენაზე, ილიას
უჭირავს მიკროფონი და საზოგადოებას
ამ ორ ადამიანს წარუდგენს).

ილია: აი მეგობრებო, ქართული
ბირჟავიკული ლიბერალიზმისა და
პროგრესის წარმომადგენლები.

(სცენა და დარბაზი არის გეი კაბარე-
კლუბი, მაგიდებთან მსხდარი გეები
ფეხზე დგებიან და მიდის ოვაციები
და ტაში. შემდეგ სამივე ისევ რეალურ
ადგილას ბრუნდებიან, ანუ ქუჩაში
ბირჟაზე).

(ილია უბრუნდება იმ დანარჩენ ხუთს).

(ილია და ეს ხუთი კაცი აღმოჩნდებიან
სადღაც ტრიალ მინდორში, ილია –

გამოწყობილი როგორც დონ კიხოტი,
ზის ხის ცხენზე და უჭირავს რაინდის
შუბი. იმ ხუთ ბირჟავიკს უკან
წისქვილის ”პროპელერი” უკეთიათ.
ილია ჩამოდის ცხენიდან, შუბს ძირს
აგდებს და ხრანტით აფურხებს მიწაზე.
შემდეგ ბირჟავიკებს უბრუნდება).

ილია: თქვენი ჰომოფობი დედებს
შევეცი მე!

(ვიღაცა ბოთლში ჩაყრილ მარიხუანას
უკიდებს ცეცხლს. ოთხში სამი ბიჭი
ზის. ერთია ილია, მეორე აკაკი, მესამე
ვაჟა).

(ილიას სახე აქვს დაღურჯებული).

აკაკი: იმ ორმაც დაგცხო? (ილიმის)
(აქ კადრი გაი რიჩულად ჩერდება და
ეწერება – აკაკი).

ილია: ჰო (ბოთლიდან ნაფაზს არტყამს).

აკაკი: მაშინ გამოდის რომ არ ყოფილან
ლიბერალ-პროგრესისტები.

ილია: რატო კაცო? ეგენი ლიბერალები არიან გეების მიმართ, ძმაკაცის დედის შემგინებლების მიმართ კი არა.

ვაჟა: ეგ კი არა და მაგარი ამბავი გითხრათ. (აქ კადრი გაი რიჩულად ჩერდება და ეწერება – ვაჟა) მოკლედ მუშაობა დავიწყე ერთ ჟურნალში რა. რომელსაც გამოსცემს, ცოტა ისეთი სასტავი, აი ოდიოზური ლიბერალ-პროგრესისტები; ჩვენში რომ მასონებს უწოდებენ. ჰოდა, (ნაფაზს ურტყამს) ეს ვუთხარი მამაჩემს, ვიფიქრე გაუხარდება რომ როგორც იქნა სამსახური ვიშოვე-მეთქი.

აკაკი: რაო მერე?

ვაჟა: რაო და (ნაფაზს არტყამ და ბოთლს ილიას აწოდებს), რაც მაგათმა ხელფასი უნდა მოგცენ, მაგას მე მოგცემო ოღონდ იქ არ წახვიდეო და თან სამსახურს გაგიჩითავ საპატრიარქოს ტელევიზიაშიო.

(ილია ამ დროს ნაფაზს ურტყავს

და უტყდება სიცილი და ბოლი
გადასცდება. აკაკიც სკდება სიცილით).

(კამერა გადადის კედელზე
დაკიდებულ სურათებზე – ჩანს შოთას
და გალაკტიონის სურათები)

(დასასრული).

რა აზრი დევს ფილმში? ის რომ ჩვენ
ყველანი ილიები და აკაკები ვართ.
რომ ილიაც, აკაკის და სხვა ასეთი
სასიქადულო გმირები <censored> კი
არა ჩვენთან იძმაკაცებდნენ.

აქ თვალწინ მიდგას ილიას
ახალგაზრდობის სურათი,
პეტერბურგიდან ახალდაბრუნებული
და უცებ ვხვდები, რომ ეკო დეისაძეს
გავს გარეგნობით. არანაირი ეპატაჟი,
ჩემში იღვიძებს რეჟისორი და მე
მინდა კარგი ტიპაჟის მქონდე მასტმა
ჩემს ფილმში ითამაშოს ილიას
როლი. ეპატაჟი ხურდაში მოყვება ამ
ყველაფერს.

ილიას, აკაკის და ვაჟას ნაცვლად
ვიღაც სამი ტიპი წამოგვადგა თავზე,
ერთნაირად აცვიათ, იარაღები
უკეთიათ და უხეშობენ. ცალი თვალი
მოჭუტული მაქვს და ჩემს ჰობიში,
იურიდიულად განათლებული
ახალგაზრდის როლში ვჯდები.
ვეუბნები, რომ ყლეზე გვკიდია
173-ე მუხლი, ადმინისტრაციული
სამართალ დარღვევათა კოდექსიდან,
იმიტომ რომ ეგ ჩვენ არ გვეხება,
ეგ დებოშიორებისთვისაა. ჩვენ აქ
პოეზიაზე ვსაუბრობთ და ქართულ
სულს ვახარებთ. აუტანელი სურვილი
მკლავს, წავუკითხო მათ ჩემი ალტერ
ეგოს მიერ დაწერილი ჰაიკუ:

“როცა ბიჭები ლუდის სმას მოვრჩით,

დავაბოყინეთ

და ცარიელ ბოთლებზე მთავრობა
დავსვით.”

მარა დროზე ვხვდები, რომ ამ ყალბ
პროტესტს და პროვოკაციას შეიძლება

სხვა ადამიანების დაზარალება მოჰყვეს.
საუკეთესო შემთხვევაში უბრალოდ
აგვყრიან. ან მაგრად გაგვძუციან, მერე
შემოგვტენიან წინააღმდეგობის გაწევას,
პოლიციელზე თავდასხმას და ა.შ.

მერე?

მერე ფეისბუქის ნონკონფორმისტთა
არმია იტყვის: ყლენი ხართ!

ვერა ძმაო, ნემიროვის მაგივრად
მედოფს სვამდით და მე ეგეთ ხალხთან
არ დავდგები, ან ნაფტა ხანდხან
ზედმეტად ბევრს აბოყინებს და ამიტომ
ის ჩემთვის მიუღებელია.

შეტრიალდებიან და რომელიმე
ინტელექტუალის სტატუსზე დაიწყებენ
ბრძოლას თავისუფლებისათვის
და კულტურულ-მენტალიტეტის
რევოლუციას გააღვივებენ!

მაგათი დედას რო შევეცი მე
სათითაოდ, სულ ყველასი!

გაბრაზებული სამართალდამცავები

ძველბიჭურად ფხოჭნიან მანქანას და
სადღაც მიდიან.

აგვყრიან.

აგვყარონ მაგათი დედაც მოვტყან
სათითაოდ, სულ ყველასი!

ბოლოს და ბოლოს საპროცესო
გარიგებას დავდებთ, ახალ ჰიმნს
დაგიწერთ – თქვენ კიდევ გაგვიშვით.

ყველა მოგებულა.

სახელმწიფოებრიობა და სამოქალაქო
შეგნება ხარობს!

პოეზია ხარობს!

პატრიოტები ხარობენ!

პოეტები პოეტობენ!

ჩვენ ისევ ვსვამთ!

და თქვენ ისევ ჭამთ თქვენს კრემიან
ნამცხვრებს რევოლუციური პირის
ღრუებით.

თქვენი დედა მოვტყან!

გამთენიისას, ვიღაც მასტი გვადგება.
წუწუნებს, ბომჟი ვარო, მამიდაჩემმა
ამახია სახლიო. ჰოდა, თქვენთან
ვიქნებო. აცეტონის არაყს ვუსხამთ და
ის პატრიარქის სადღეგრძელოს სვამს.

სრული ვერსია:


<http://juzepppe.wordpress.com/2011/08/15/nonkomf/>

> პიესა

ნანუკა და ღმერთები

(მინი-პიესა 2 მოქმედებად)

გიორგი მასხარაშვილი



ტელევიზიის დირექტორის ოთახი.
სხედან დირექტორი და რეჟისორი.

დირექტორი: ფილმი NANUKA
ZHORZHOLIANZE კარგი იდეაა.
სპონსორები ბევრია?

რეჟისორი: სამი: ავთანდილი,
სამოდელო სახლი „უფლის მეოხი“ და
კარაქი „დაჩა“.

დირექტორი: კარგი და როსტოს ვინ
ითამაშებს.

რეჟისორი: ძალიან უნდა გიორგი
მასხარაშვილს და ვნახოთ.

დირექტორი: მმმმ, ვნახოთ, ვნახოთ და
ბუბუს?

რეჟისორი: ნოდარ მელაძე

დირექტორი: კარგი და ჩიტს?

რეჟისორი: ვინ ჩიტს?

დირექტორი: აი ამბები რომ მოაქვს...

რეჟისორი დაფიქრებული ზის და

ძნელია თქვა იატაკს მისჩერებია თუ თავისი შარვლის საკინძეს. დირექტორი უარესი ვარიანტის ასაცილებლად პასუხს ასწრებს: - მოდი ჩიტი ვანო იყოს - რეჟისორი აპირებს შეეკითხოს, მაგრამ დირექტორი აგრძელებს - ხოლო და ნანუკას ვინ თამაშობს?

რეჟისორი: თენგიზ კიტოვანი.

დირექტორი: კარგი და სიუჟეტი, როგორ ვითარდება?

რეჟისორი: ნუუ აი, როგორ იღვიძებს დილით ნანუკა, იხეხავს კბილებს, ათვალეირებს ეთერ კაკულიას სკოლის დღიურს, ვერ პოულობს თავის საყვარელ მამონტის ტყავის კაბას და დამწუხრებული მიდის სამსახურში როლიკებით და გამვლელებს ესალმება „ლოგოლა ქალთ, დღეს ქო მოქალთ ცემთან სტუმლად, ექიმობანა ვითამასოთ“. ხალხი აქეთ-იქით გარბის, ზოგს მანქანა ეჯახება, ზოგი პატრულს უხტება მანქანაში „დამიჭირეთ

კეზერეშვილი ვარო“.

დირექტორი: და რატომ გარბიან?

რეჟისორი: ნუუ, აი რო, ნუ ბედნიერები არიან.

დირექტორი: ააა!

ფარდა

1 მოქმედების დასასრული

მე-2 მოქმედება

პავილიონი.

გადასაღები მოედანი.

სავარძელში სხედან ეთერ კაკულია,
„ნანუკა“ და წვერებიანი მამაკაცი.
იქვე ტანსაცმლის კრონშტეინზე
ჩითის კოსტიუმებში სხედან ვანო
ჯავახიშვილი, ვანო მერაბიშვილი და
ვანო თარხნიშვილი.

რეჟისორი: ყვირის - წავიდა!

ნანუკა კამერაში ყვირილით: საღამო
მშვიდობისაა, დღეს ჩვენი სტუმრებია,
ძალიან მაგარი ადამიანი ეთერ კაკულია
და ღმერთი.

ეთერი: ვააიმეე ნანუკა, ვინ ღმერთი
იოსეეე?

ნანუკა: ვინ იოსე, ქრისტო?

ეთერი: ქრისტო სტოიჩკოვიი..?

ნანუკა: სტოიჩკოვი ვინაა მამუდიი?

ეთერი: ვინ მამუდიი, მუმადიი?

ნანუკა: ვინ მუმადი, მუდააა?

ეთერი: მუდაა, აა მუდა ბარიი?

ნანუკა: აა ხოო!

ნანუკა ღმერთს - აუ ღმერთო მოყევით
რა როგორ შეხვდით პირველად თქვენ
ცოლს? ააა და რო დაშორდით რა
უთხარიით?

ეთერი: ვააიმეე, იქნებ გვიმღეროთ

რააააა,!

აშკარაა, რომ ღმერთი დაბნეულია.

ნანუკა: აუ ჰოო, გვიმღერე რა ღმერთო,
გვიმღერე ღმერთო რაა!

ჩაბნელება

ოლიმპო.

ღმერთები დაღონებულები სხედან,
თავში ხელებჩარგულნი. აპოლონი და
სხვა ახალგაზრდები დიდ ტომრებში
თავს უყრიან წიგნებს, ტანისამოსს,
რბილ სათამაშოებს, მცენარეულ
წამლებს და სხვა ჰუმანიტარულ
დახმარებას.

ფარდა.

2-ე მოქმედების დასასრული

> მოთხრობა

სერფინგისტი ჟორა

გიორგი მაჭავარიანი



დავიბადე 1981 წელს თბილისში, პირველი რკინიგზის სამშობიაროში და ჩვეულებრივად, როგორც ბევრი, ვცხოვრობდი დიდუბეში დედასთან და თბილისელ ჩვეულებრივ მამასთან ერთად. მყავდა რუსი ძიძა და დავიწყე რუსულად ლაპარაკი, რაც გასაკვირი არ იყო, პირიქით - იმ წლებში კაი პონტიც იყო (იმიტომ რომ გაგანია კომუნიზმი იდგა) და ბებიაჩემი და ბაბუაჩემი (დედაჩემის მშობლები) შეიძლება ითქვას, ამაყობდნენ ჩვენი ოჯახით.

დედაჩემი გამოუსწორებელი ოპტიმისტი და მამაჩემზე, ჩემზე და თავის მშობლებზე შეყვარებული იყო, ეხლაც არის პრინციპში, მამაჩემი კი მაგ დროის კლასიკური თბილისელი ბიჭი იყო და ეხლაც არის მამენტ, იზრდებოდა პლექანოვზე ბიძასთან და ბიძა და დისშვილი სულ ქუჩაში იყვნენ პრინციპში სხვა არც არაფერს არ აკეთებდნენ.

მამაჩემს ყავდა დედა, რომლიც მეორეთ გათხოვდა კაცზე, რომელიც ბაბუასავით იყო. იყო ნამდვილი ბაბუაც – მამაჩემის მამა, მაგრამ ისე, ნელთბილად, უბრალოდ – იყო. მამაჩემს კიდევ ყავდა მამიდა, ბებია, ბაბუა, ვერაზე და ამას ყველაფერს იმისტომ ვყვები, რომ ყველა ცალ-ცალკე გიჟდებოდა მამაჩემზე და ავტომატურად ჩემზე.

მამაჩემი მომთაბარედ ცხოვრობდა, ყველას ცალ-ცალკე წველიდა და, შეიძლება ითქვას, იმ დროისთვის ძალიან მაგრად იყო. პარალელურად ჰყავდა ბიჭები რომლებიც ყველა, აბსოლუტურად ყველა, ძალიან შეძლებული ოჯახის შვილები იყვნენ. მაგალითად, ერთი კონიაკის ქარხნის დირექტორის შვილი იყო, მეორე კალბასის ქარხნის და ალბათ აღარც ღირს გაგრძელება. და პარალელურად ჰყავდა დედაჩემი რომელიც უაზროდ და ბრმად გიჟდებოდა მამაჩემზე და

მზრდიდა მე.

ბებია “ლია” და ბაბუა “ნუგზარი” რომლებიც დედაჩემის მშობლები იყვნენ და არა მარტო მშობლები ჩემი გამზრდელებიც, მომვლელებიც და რამე თუ არსებობდა კომუნიზმის პირობებში ყველაფერი მქონდა და თუ არ მქონდა ისიც ვიცოდი, რომ მეთქვა ბაბუაჩემი გააძრობდა. დედაჩემის მამა იყო კაცი რომელსაც ოღონდ რამე გაესწორებინა “ნინოსთვის” და “ომარისთვის” ანუ დედაჩემისთვის და მამაჩემისთვის, მე ხომ საერთოდ ვარსკვლავებს მომიწყვეტდა და ასევე მიყვარდა მეც და ძალიან ვუჯერებდი, ამას მერე მოვუბრუნდებით. ბებია “ლია”-ც ასევე გიჟდებოდა “ნინო”-ზე და ჩემზე, “ომარზე” მაინცდამაინც არ ირეოდა, იმიტომ რომ ის მის კომუნისტურ მართალ ხედვაში არ ჯდებოდა. ყველაფერი ისე მიდიოდა, როგორც იყო ნორმა მაგ წლებში – სიყალბით, ხელოვნური

სისუფთავით. ბაბუაჩემი “ნუგზარი” იყო მაგარი კაპიტალური ერთი იდეით შეპყრობილი კომუნისტი, პარალელურად იყო “ელექტრო აპარატის” უფროსი ეს იმას ნიშნავდა იმ დროისთვის, რომ დიდი, საკმაოდ დიდი თანამდებობა ეჭირა.

მეუღლეც არა ნაკლები დატვირთვით იყო ამ კომუნიზმის სინათლეში, “გიპროგორ სტროიში” მუშაობდა მთელი ცხოვრება და 120 მანეთი პლიუს პრემია სულ ყველა თვეში ჰქონდა. ბინა მისცეს საბურთალოზე და დაჩა “წოდორეთში”, რაც მაგარი მიღწევა იყო. ბავშვობიდან მუშაობდნენ, ქალიშვილიც გაათხოვეს, სახლი საბურთალოზე გაარემონტეს ბოლო მოდაზე, ეხლა რომ ევრო რემონტია ისე, დაჩაც, მანქანაც, და სიძესაც – მამაჩემს – ახალი “მესტი” ჩაახუტეს, თავისთან “ელექტრო აპარატშიც” სამსახური გაუკეთეს, მაგრამ ტყუილუბრალოდ, ფორმალობისთვის.

ყველაფერი ლამაზად იყო გარედან,
შეიძლება ითქვას იდეალურად.
მათხოვრები არ იყვნენ წელიწადში
ორჯერ დავფრინავდით მოსკოვში და
კაროჩე ის სიმღერა მახსენდება სულ –
“პუსც ვსიგდა ბუდუ ია”, ხომ გახსოვთ,
აი ესეთი სუფთა და სტერილური
კომუნიზმის ნიმუში ვიყავი, მაგრამ
მაგ დროიდან არ მესმოდა და ეხლაც
არ მესმის რატომ უნდა იყოს ეს კარგი
და საერთოდ თუ იმისთვის კარგია,
იქნებ ჩემთვის კარგი საერთოდ
საპირისპიროა, ან საერთოდ ყველა
კარგად რატომ უნდა იყოს!

მოკლედ ესე ვიზრდებოდი, მამაჩემი
და დედაჩემი იდეალურად იყვნენ,
ბებიები, ბაბუები და საერთოდ ყველა
ვისთანაც ურთიერთობა მქონდა
ყველა კარგად იყო, სტერილურად,
აღბათ მართლა არ იყო სექსი და
ბალის მასწავლებლები არ დადიოდნენ
ტუალეტში.

ერთადერთი, მამაჩემი და მამაჩემის მეგობრები რომ მოდიოდნენ ვამჩნევდი, რომ ესენი მთლად ვარდისფერ ლოყებიანები და საროჩკებ გაუთავებულები არ იყვნენ და ეს მახარებდა, მაგრამ ნამეტანი არც ეს მხიბლავდა.

მოკლედ კაიცი იყო და უცნაურადაც ვიყავი. სულ ვეკითხებოდი ბაბუაჩემ “ნუგზარს”, იმიტომ რომ ის მზრდიდა, ვეკითხებოდი მსოფლიოზე, იქით რა ხდება, მოსკოვის იქით-თქო პასუხი მყარი ვერ იყო იმიტომ რომ თვითონაც წესიერად არ იცოდა და თან საშიშიც იყო, მართლა იყო, მოსკოვში რომ დავდიოდით ერთი პლაშიანი კაცი სულ დაგვევებოდა და რაღაცეებს იწერდა სულ მაინტერესებდა ის კაცი რეებს იწერდა.

ესე გადიოდა წლები და ერთ წელსაც დედაჩემი დაორსულდა ჩემს დაზე. გადაწყვიტეს, კაცმა არ იცის რატომ,

გადავსულიყავით საბურთალოზე, სადაც ეხლაც ვცხოვრობ, სასაცილოა არა? მოკლედ, ყველა კმაყოფილი იყო. ბაბუაჩემი დაფრინავდა, ამხელა სახლში მარტოები რომ აღარ იყვნენ და იქ ვყავდით. დედაჩემი პრინციპში სახლში ჩაჯდა, კომფორტი მეტი იყო, მამაჩემი საერთოდ აქ აწყობილად იყო, პასუხისმგებლობა მოეხსნა, ბაიტი ჰქონდა ცარიელი და ფულიც რამდენიც უნდოდა ჰქონდა. ოცნებაა ოცი წლის ბიჭისთვის მართლა. ესე დავრჩით საბურთალოზე.

მე აქ საირმეზე შევედი სკოლაში, მაშინ მაგარი ნავაროჩენი სკოლა იყო, ყველა კეთილმოწყობილი და სტერილურობით გაჯერებული ოჯახის შვილები იქ სწავლობდნენ, აკითხავდნენ შვილებს მანქანით და დირექტორს საჩუქრებს უკეთებდნენ. მათი შვილები ხომ საუკეთესოები იყვნენ, იმიტომ რომ არაფერი არ ეშლებოდათ და მათ ოჯახებს არ

ეკადრებოდა ბევრი რამ. დავყავდით ყველაფრის გაკვეთილზე და მასწავლებელთან, ხელოვნების და მუსიკალურ სკოლაში, რატომ თუ სმენა არ გაქვს ან ხელოვნება არ გაინტერესებს არვიცი?...

მოკლედ, ბაბუაჩემმა აიჩემა, რომ მე ცურვაზე უნდა მევლო და პირადად თავის მეთვალყურეობის ქვეშ ამიყვანა. პარალელურად ჩემი დაც იზრდებოდა. ასფიქციაში დაიბადა და ამის გამო ელამი იყო. მაგარი მაზალო და საყვარელი იყო, ჩემს დასაც დაატარებდნენ “ფიოდოროვთან” და ტრაკში პეროებთან, რათქმაუნდა ეს სტერილური და ყველაფერში მართალი კომუნისტები ამბობდნენ, რომ არაფერი არ ეშველებათ და აწვალებდნენ ვარჯიშებით და ყლებობებით.

მე ამასობაში წყალბურთის თამაში დავიწყე და ერთადერთი ადგილი ვიპოვნე, სადაც არ იტყუები

და ბუნებრივად თავისუფალი ხარ. ერთი პენოპლასტი მქონდა დამალული იქ და ვარჯიშის მერე ვსრიალებდი სერფინგის დაფასავით. მაგარი ტრენერი მყავდა “დათო ჩერქეზიშვილი”, მაგარი კაცი, მერე აფხაზეთის ომში დაიღუპა, სულ მეუბნებოდა, შენ ნამდვილი წყლის კაცი ხარო. რომ ვსრიალებდი, იქით შორს იჯდა და იცინოდა. მამაჩემს ეუბნებოდა ეს ბიჭი ზღვის და წყლის შვილიაო, მამაჩემი კი, არა მგონია ხვდებოდა რას გულისხმობდა ტრენერი, მაგრამ თავს უქნევდა.

მოკლედ, გადიოდა წლები და 11 წლის რომ ვიყავი, მამაჩემის დედა და მისი ქმარი სამსახურიდან გაუშვეს “კუბაში” 4 წლით. არ გაგიკვირდეთ, “კუბა” ხომ კომუნიზმის შუქურა იყო ოკეანის იქით. “ლაშა” ბეზიაჩემის ქმარი იყო მეტეოროლოგიურის რაღაც თანამდებობაზე. ანტარქტიდაზეც ცხოვრობდა და მოკლედ, ცოტა

დაცურებული იყო და თან, ეჭვი მაქვს, ბებიაჩემი და “ლაშაც” ცოტა კაგებესთან კარგად იყვნენ, მოკლედ წავიდნენ “კუბაში”.

რამოდენიმე თვეში დარეკეს და დედაჩემს უთხრეს ჩემი დის ანალიზები გაეგზავნა იქ არსებულ რაღაც ძალიან მაგარ საბჭოთა სამხედრო კლინიკაში. ცოტახანში კი ზამთარში ჩამოდით, ოპერაციას გაუკეთებენ და ყველაფერი კარგად იქნებაო. მაგარი იყო, “ანის” ოპერაცია და ჩვენც სამი თვით “კუბის” სიცხეში და ოკეანე, რომელზეც ყოველთვის ვოცნებობდი.

ვარ 11-ის და იქ გავხდები 12-ის. დეკემბრის ბოლოა და ახალი წელი მოდის. სკოლაში ადრე დაათხოვინეს, ვარჯიშიდანაც გამიშვეს, ოღონდ იმ პირობით რომ იქ ვივარჯიშებდი ყოველდღე და საწყალმა დავითამ ერთი რამე მთხოვა: სადმე ყველაზე

მაგარ სანაპიროზე, ხეზე ან რამეზე ჩემი სახელი დაწერე და ჩემს მაგივრად სერფინგზე გაცურდიო.

გავემგზავრეთ სამოთხისკენ მე, დედაჩემი, ჩემი და, თავისთავად, და “ლაშას” შვილი “ქრისტინე” და შვილიშვილი “ეთო”. ისე, მამაჩემი და “ლაშას” შვილი ერთად გაიზარდნენ და ნამდვილი და-ძმასავით იყვნენ. ”ქრისტი”, სხვათაშორის, ერთი კვირის უკან დავასაფლავეთ, კიბო ჰქონდა. მოკლედ, გავფრინდით ჩერეზ მოსკოვი. რასაკვირველია მამაჩემმა გაგვაცილა მოსკოვამდე და იქ დარჩა თავის ბიჭებთან ერთად. თან დაგეგმეს, რომ დაგვხვდებოდნენ უკან და გამოგვიშვებდნენ თბილისში, თვითონ მერე წავიდოდნენ “კუბაში” 2 კვირით ბიჭები, ხომ წარმოგიდგენიათ ისინი იქ რეებს იზამდნენ. მე 12-ის ვიყავი, მაგრამ მეც მშურდა, მართლა.

მოსკოვიდან “ბოინგით” გავფრინდით,

ორი აეროპორტი გავიარეთ შენოს აეროპორტი მართლაც სასწაული იყო და ბოლოს კანადის განდერის აეროპორტი. აეროპორტიდან რომ ვიხედებოდი, სასწაულს ვხედავდი. ვხედავდი ისეთ ქვეყანას, რომელშიც უსიტყვოდ და ულაპარაკოდ დავრჩებოდი და რომ დავბრუნდით, თვითმფრინავში ნახევარზე მეტი მართლაც დარჩა, უკვე ის დრო იყო ხალხი რომ გარბოდა და აეხილათ თვალები, ყოფილ საბჭოთა კავშირში კიდევ უფრო ცოტა და ცოტა ხალხი იყო კარგად.

ჩემი ოჯახი მაგ რიცხვს არ მიეკუთვნებოდა, იმიტომ რომ კარგად იყვნენ, ან უბრალოთ ეშინოდათ ცვლილებების, ან სინამდვილის გაგება არ უნდოდათ და ტყუილში და სტერილურობაში ერჩიათ ცხოვრება, ან მამაჩემის თქმის არ იყოს, აქ ვიყო მეფე მირჩევია, ვიდრე იქ ჩვეულებრივი რიგითი მოკვდავიო.

იმას ალბათ არ ფიქრობდა, რომ არც აქ იყო მეფე და თავისუფალ, ბუნებრივ გარემოში შვილები მაინც ეყოლებოდა ბედნიერი. რავიცი, რავიცი მე პირადად ერთი საათი თავისუფლების და გაფრენისთვის ბევრი წლებიდან ნახევარ ცხოვრებას მივცემდი. ყალბ, ერთუჯრედიან და სტერილურ გარემოს, რომელიც კოლონიას, ქარხანას, ან რაღაც უფრო საშინელს გავდა, თავისი დაშტამპული ბედნიერებით და ვითომ კარგათ ყოფნით.

მივფრინავდი და მთელი გზა იმას ვფიქრობდი (ბავშვობაში ტარზანი ყველას გექნებათ ნანახი) მეთქი ჩამოვარდეს თვითმფრინავი სადმე, სადაც მზე, ზღვა, ხილი და ლამაზი გოგოები იქნებოდნენ. მერე დამეძინა და გამეღვიძა ჰავანას აეროპორტში.

გამოვედი თუ არა მივხვდი, რომ ამ ადგილზე ვოცნებობდი, ოღონდ

ჩემების და უაზრო ხალხის გარეშე. როგორ გითხრათ არც კი ვიცი, მზეა, ცხელა და ყველა ფერებია გარშემო რაც კი არსებობს, პლუს ზღვის სუნია, ყველა შიშველია და ყველა გიცინის, არც შავები არიან და არც თეთრები, ყველაფერზე მღერიან და იცინიან, საერთოდ პრობლემები არ არსებობს, ყველაფერზე გპასუხობენ “არ არის პრობლემა”, აჭარლებივით, ოღონდ ამათ მართლა არ აქვთ პრობლემა.

იქაც კომუნიზმია და საერთოდ პრობლემა არ არის მართლა, ყველაფერი არის და ყველა გახდილია, მოკლედ მოკში ვარ.

ჯერ სახლში არ მივსულვარ და სახლს რომ მივუახლოვდი უკვე დავიძაბე. წარმოიდგინეთ ამ სამოთხეში ვხედავ შემოღობილს, სამხედრო ნაწილივით, აქაც რომ გინახიათ და ამ “ნაწილში” დგას “ხრუშოვკები” ზუსტად, ბევრი საბჭოთა ხალხი, გამოფენილები ეზოში,

კაგებეშნიკების და მილიონ ჩინიანი გარეწრების ოჯახები, ცოლები და ეს სტერილური, სუფთა ბავშვები, რომლებსაც ჰგონიათ, რომ მსოფლიო მათ გარშემო ტრიალებს.

აქვთ მაღაზიები და დიდი ბასეინი, რომელსაც ესევიან, სასაცილოც იყო და სატირალიც, გარშემო სამოთხე აქვთ ორი ოკეანით, თავისი ზღაპრული თბილი და ლამაზი ხალხით, ზღაპრული ბუნებით და ესენი ამ სტერილურ და მახინჯ ციხეში ისხდნენ, დილას დადიოდნენ სამსახურში და საღამოს ყველა, ოჯახებით და ფითქინა ბავშვებით ბანაობდნენ ბასეინში და ყაყანებდნენ რასაკვირველია.

მოკლედ სხვა გზა არ მქონდა და მეც ჩავები ამ მზიან და ვითომ ფანტასტიურ ცხოვრებაში, მთელი დღე ვეგდე ბასეინზე და ვეთამაშებოდი ახალ წამოზრდილ ძუძუებთან თეთრ გოგოებს, ვჭამდი უამრავ ბანანს. ჩემი

აივნის კუთხე უდგებოდა კუბელების
ბეისბოლის მოედანს, სადაც მთელი
დღე და ღამე იკრიბებოდნენ იქაური
ბავშვები. ნელნელა კონტაქტში შევედი,
კამფეტებს ვუყრიდი და ძალიან
უხაროდათ. მათ ხომ ფული საერთოდ
არ აქვთ და ესეთი რაღაცეებით არც
განებივრებულები არიან, როგორც
ჩვენ აქეთ – რაღაც სტერილური,
მოფაშისტო, ერთი იდეის ხალხი.

მოკლედ ძალიან დავმეგობრდით.
ერთი გოგო იყო, ჩემზე ორი წლით
დიდი და ისეთი ლამაზი, მომულატო.
ხვეული თმები და ფირუზისფერი
დიდი თვალები ჰქონდა, ტანზე
ხომ აღარაფერს გეტყვით, რომ
ტრიალდებოდა და ტრაკზე
ვუყურებდი თავბრუ მეხვეოდა და
ქვემოთ მჩხვლიტავდა, მაშინ ვიგრძენი
ეგ ყველაფერი. ცოტა რუსულიც იცოდა
და მოკლედ ავაწყეთ. იმასაც ცოტა
მოვწონდი, ან თეთრი და ესეთი ჯიგარი
იმვიათობა იყო.

ერთ დღეს, რომ მოხნელდა
“ზაბორი” ჩავჭერი, გადმოვადვრინე
და ბასეინში ერთად ვიცურავეთ,
რომ ვეხეობდი კანზე მეგონა, რომ
გული გამიჩერდებოდა, მარა ერთი
დამლაგებელი იყო რუსი ლოთი და
იმან ამოგვყარა. 20 დოლარი ვაჩუქე,
რომ არავისთვის არ ეთქვა, მარა ბოზი
ხომ მაინც ბოზია და დილას მთელი
ამ კოლონიის თუ რა დავარქვა აღარც
ვიცი, დამადგნენ და მოკლეთ თითქმის
ერის მოღალატედ გამომაცხადეს.

ჩემებს კი ვუთხარი მერე, რომ
ვგიჟდები ამ გოგოზე და გავიპარები,
დავრჩები თუ არ დამანებებენ თავს-
თქო, ისე ბავშვობიდანვე სხვაგან
ვიყავი იცოდნენ. მოკლედ, ჩერეზ
სეტკა ვაგრძელებდით ურთიერთობას
ვწერდით და რავიცი, მთელ საღამოებს
იქ ლობესთან ვატარებდით.

ერთ დღეს ამ გოგომ, მემგონი მონიკა
ერთქვა, მითხრა რომ დაბნელდებაო

გამოიპარეო და ოკეანეში ვიბანაოთ
შიშვლებმა მთვარის შუქზეო. ამ
შანსს ხელიდან როგორ გავუშვებდი.
ამასობაში ჩემი და საოპერაციოდ
დააწვინეს, მე კი სახლში დამტოვეს
ვიღაც მეზობლებზე მიბარებული.
წავიდნენ თუ არა, გავჭერი სეტკა და
გავიპარეთ საღამოს ვარადეროში.

რომ მობნელდა, ოკეანის სანაპიროზე
გავედით, კინოსავით არის მართლა,
გაიხადა მთვარის შუქზე და შეცურა
მარა რა შეცურა, მეც კარგად ვცურავდი
რასაკვირველია, მაგრამ აი ზღვისა
და პლაჟის შვილი ვინ იყო, ეხლა
ვნახე. მეც გავიხადე სირცხვილით
და შევცურე, ვერ ვეწეოდი მაგრამ
მემგონი მელოდებოდა ხოლმე და
თან მიცურავდა. ამ სამოთხეში ვარ
და მგონია, რომ ასე იქნება სულ და
უცებ გვერდიდან მეჯახება რაღაც
დიდი და მოხატული ნავივით. ცოტა
გონს რომ მოვეგე და ვხედავ ასაკოვან
კაცს რომელიც ძალიან გავს ამ გოგოს,

თან თვალებს უბრიალებს მას და მე მიცინის. შემოგვახტუნა ორივე ამ სერფინგის დაფაზე, გამოგვიყვანა ნაპირზე და ჩაგვაცვა. თურმე მონიკას ბიძა თუ ვიღაც ყოფილა, ბებერი სერფინგისტი, რომელიც აქ ბუტკაში ცხოვრობს და ვიღაცეებსაც ასწავლის, ოღონდ სერფინგს თურმე ყველას ვერ ასწავლი, ეს მინდა ვიარო და ვისწავლო ეგრე არ არის, უნდა გრძნობდე და სერფინგისტობა, როგორც აღმოჩნდა, სულის მდგომარეობაა.

მოკლედ ამ ბიძამ რუსულიც იცოდა, ცოტა გვეჩხუბა, ის კი არა რომ ტიტვლები და ერთად და რამე, უბრალოდ ღამე მარტოები საშიშიაო, აზრზე ხართ უბრალოდ სად არის მათი შეგნება და გაგება? მოკლედ, გამოველაპარაკეთ ერთმანეთს, მოეწონა კაი ფორმაში რომ ვიყავი, ჩემი ტრენერის ამბებიც ვუთხარი და თავის ბამბუკის ბუტკაზე დამაწერინა, თვითონ თავის სერფინგს დააწერა

დავითას სახელი. ისიც მიაწერა,
ნამდვილი სერფერი თბილისიდანო, და
გამომაცილა. მერე ისე ერთი სიტყვით
მითხრა, თუ გინდა დაგაყენებ და
დავითს მოუყევი როგორია, არც ვიცი
დავითას ხატრით თუ მე მოვეწონე, და
შემომთავაზა. კარგი, უბრალოდ ღამე-
თქო და მეორე საღამოდან თავიდან
დავიბადე.

ყოველ საღამის, ყველა რომ
მიწვებოდა, მე ვიპარებოდი
ოკეანეზე მარტო, ის გოგოც აღარ
დამყავდა. მივდიოდი, ცეცხლს
ვანთებდით და ვმეცადინებდით და
ვმეცადინებდით. ჯერ დიდი ხანი
თეორია და მერე ნელნელა წყალზეც
გავცურეთ და ერთ მშვენიერ ღამეს
მარტო დავიჭირე ტალღა და ზედ
გავცურე. სიბნელეს მთვარე და ცეცხლი
მინათებდნენ. ის დაფა, რომელიც
ამ სერფერს, ჩემს მასწავლებელს
ჰქონდა, დიდი იყო, რის გამოც პატარა
შემიჭედა იქ, პლაჟზე, მაგარი ძალიან.

მერე კი დამაშლევინა და უკვე ჩემით
გამაკეთებინა.

მოკლედ, პირველად რომ გავცურე
ვერ აგიხსნით, რომ მიფრინავ და
თან საყვარელ ადამიანთან ერთად
რომ ათავებ და კიდევ დადებითი და
თავისუფალი აზრი და შეგრძნებაა,
ზღვა ხდები შენ, პოსეიდონი და მაგ
დროს ჩიტიც, არწივიც, ღამეც ხარ და
მზეც, არ ვიცი ძნელია, მერე ყველაფერი
მტკიოდა მაგრამ, მთელ ცხოვრებას
ჯობდა.

მერე ისევ თითქმის ყოველ ღამე
დავდიოდი და სულ უფრო ღრმა და
სასიამოვნო რაღაცეებს ვამუღამებდი
და ერთ ღამესაც, უკვე ერთ 10 დღეში,
მოვდიოდი, მთხოვა რომ დათოს
სახელზე ერთ დღეს დილას ან
შუადღეზე გამოდიო ვისრიალოთო.

მართლაც, ერთ შვენიერ დილას, ამ ჩემ
გოგოსთან ერთად მივედი და სასწაული
იყო ტალღები მზეზე. თითქმის მთელი

დღე ვსრიალებდით, ის დღე დათოსი იყო და ჩვენი ოცნების ასრულების, სასწაული იყო, სალამოსკენ კი, რომ ვამთავრებდით სრიალს მითხრა, შენ ნამდვილი სერფერი ხარ და მთელი ცხოვრება იქნებო. იმ წუთას არ მიმიქცევია ყურადღება, იმიტომ რომ იქვე ერთი ჩვენი მეზობელი დავინახე. ვიცოდი, რომ უეჭველი ეტყოდა ჩემებს, გადავებხვие მასწავლებელს და გამოვიქეცი სახლში, არ ვფიქრობდი რომ მას ვერასდროს ვნახავდი...

სახლში კი მოვასწარი, მაგრამ ეს კეთილის მსურველი ნამდვილი კომუნიზმის სამაგალითო მოღვაწე, ჯერ სანამ ჩემებს ეტყოდა, ავიდა იქაურ მილიციაში, ეს დაახლოებით ის არის, ფაშისტებს რომ სამხედრო პოლიცია ჰყავდა, ან რავიცი, ციხეებში რომ “დეპენკა”, მოკლედ ჩვენივე უსაფრთხოებისთვის და ეს კაცი, ჩემი მასწავლებელი და ძალიან საყვარელი მეგობარი გადაასახლეს და მოაშორეს

ჩვენი სტერილურობისათვის.

სასაცილოა მართლა, და მეც ბოლო გაფრთხილება მომცეს, თორემ მშობლებს ან ბებია ბაბუას პრობლემები ექმნებოდათ, აზრზე ხართ, ეს სულ ყველაფერი სინემდვილეა მართლა, ჩემი გოგოც გაბრაზებული და შეურაცხყოფილი აღარ მოდიოდა და ალბათ მართალიც იყო, სანამ იქ ვიყავი ღამლამობით მივდიოდი ხოლმე სასრიალოდ და იმ ბუტკასთანაც, ვანთებდი ცეცხლს მაგრამ რად გინდა.

ესე გავხდი სერფინგისტი და სულ ძალით წამომიყვანეს ჩემი სახლიდან და სულიერი ჰარმონიიდან. პატარა ვიყავი მართლა და ვერ ვრჩებოდი იქ. ვტოვებდი ჩემს საუკეთესო მეგობარს, პირველ სიყვარულსაც და როდის დავბრუნდებოდი აქ ან როგორ არავინ არ იცოდა.

ერთადერთი, რომ მოფრინავდი დავითასთვის მინდოდა მოყოლა ამ

ყველაფრის და სხვა მეტი არაფერი.
რომ ჩამოვფრინდი ვარჯიშზე მითხრეს,
რომ დავითა ომში დაიღუპაო და ერთი
წარწერა დაუტოვებია გასახდელში,
ყველას დაუტოვე თუ მე არ ვიცი,
მაგრამ ალბათ ყველას, მართალია იმ
ყველადან ცოტამ გაიგო რა ეწერა: “რაც
და როგორც მოგინდებათ, ის აკეთეთ”
ეს ეწერა კედელზე და პატარა ასოებით
მე მივაწერე “სერფერი დავითა”.

იმის მერე გავიდა ნახევარი ცხოვრება
და ვარჯიშსაც დავანებე, სკოლაც
მოვრჩი, ომიც მორჩა, კომუნიზმიც
დამთავრდა და როგორც ბევრს ეგონა,
დაისადგურა თავისუფლებამ.

მეც ჩემებური დამოუკიდებელი
ცხოვრება დავიწყე. ქუჩაში და
ამ თბილისურ თუ ქართულ თუ
რადაცნაირ ცხოვრებაში ჩავერთე და
ამბობენ ცუდად არ გამომდიოდა,
ყველგან ვიყავი და არაფერს არ
ვტოვებდი, არც ცუდს და არც კარგს.

კარგი საერთოდ რა არის ეხლა ვფიქრობ, ნაკლებად იყო, მაგრამ ეგ იყო და მივყვებოდი ინერციით, სერფინგის არ იყოს, უბრალოდ განსხვავება ის არის რომ სერფინგი მართლა თავისუფლებაა და ის კი უბრალოდ ვითომ თავისუფლება, თუ ვითომ მაგრა ხარ, თუ ვითომ მაგარი ხარ თუ დაახლოებით ეგეთი.

საერთო ჯამში, ვყალიბდებოდი ნელ-ნელა, მამაჩემის პროტოტიპად, უბრალოდ მამაჩემისგან განსხვავებით, სადაც და როგორც არ ვიყავი, სულ ის განცდა მქონდა, რომ აქ მე არ ვარ საერთოდ, აქ მე რა მინდა.

ცოტა რომ წამოვიზარდე და ნელ-ნელა ამ ერთფეროვან, შავბნელ და ამავდროულად თავისუფალ ხალხს გავემიჯნე და მეორე თავის მოტყუებაში გადავედი, მოვიყვანე ცოლი კლასიკური ქართული და თბილისური ისტორიით. გავიპარეთ

და 9 თვეში გაგვიჩნდა ბავშვი. შვილი უბედნიერესია და თავიდან დავიბადე, თუმცა სიკვდილიც არ მინდოდა, ეს ყველაფერი ისევ ბანალური ისტორიით გაგრძელდა – ახალგაზრდა ოჯახი და ბავშვი, ყველა ბედნიერადაა თუ უნდა ეს, რომ ბედნიერები იყვნენ. მე 19 წლის, ცოლიც 19-ის, მაგრამ შემართებით 45 ან 50.

მამამისი სამინისტროში დიდ თანამდებობაზე, დედაც, შესაბამისად, ცოტა დაუკმაყოფილებელი თავისი არშემდგარი ცხოვრებით. სულ ზრუნავს, რომ შვილებმა მაინც იცხოვრონ ისე. სახლში ჩემთან იგივე მდგომარეობაა სულიერად რაც იყო, მე რომ კუბაში ვიყავი, უბრალოდ, ბაბუაჩემი გარდაიცვალა და მამაჩემს დედაჩემი დაშორდა, თვითონაც ვერ გეტყვით მიზეზს, განსხვავებული მამაჩემს არაფერი გაუკეთებია, უფრო სწორად არაფერი არ გაუკეთებია არც ადრე და არც მითუმეტეს მაშინ და

საერთოდ ეხლაც არაფერს არ აკეთებს.

მე თუ მკითხავ, ვერაფერს ვერც მოსთხოვ და მითუმეტეს არც უნდა გეწყინოს, იმიტომ რომ არც გპირდება და შესაბამისად არ აკეთებს და არის რა, როცა არ უნდა კითხო გეტყვის – ვარ რა, შენ? შენ უბრალოდ წინადადების წყობაში, თორე რომ უთხრა ან არ უთხრა მაინც ერთია, და მაინც დიალოგის აწყობაა აქ, მოკლედ, არის რა.

მოკლედ, მაგ დროისთვის სახლში სულ ქალები იყვნენ და ერთმანეთთან შეხმატკბილებულები უვლიდნენ ბავშვს და არც ისე ცუდად გრძნობდნენ თავს, ყველა იყო ბედნიერი თბილისურად რა, ერთმანეთთან სტუმრობით და ბავშვის ბანაობით.

მეც პლედმოხვეული ვაკვირდებოდი, ერთი ტყუილიდან და ილუზიური თავისუფლებიდან და ვითომ მაგარი ტიპობიდან და ვითომ

განთავისუფლებული თბილისის ქუჩებიდან, ამ მეორე თავისუფალ და ვითომ ლამაზ და უმანკო ოჯახურ ბედნიერებას. ცოტა ხანში მე ჩემებურად და უმეტესობისთვის არაორდინალური საქციელებით განვაგრძე ჩემი ცხოვრება.

უბრალოდ ვითომდა ილუზორული, ან გამძლეობაზე დგას ოჯახი და უნდა მოითმინო, ან მსგავსი პირფერული და თავის მოტყუების ბედნიერება არ მჯეროდა და ეხლა მითუმეტეს არ მჯერა და ეს ოჯახური იდილიაც არ გამოვიდა ბანალური თბილისური მიზეზები, ვერ შეეწყვნენ და გაფორმებებით, რომ პატარები ვიყავით და ასე შემდეგ, მე რომ ვერ გამამართლეს სიმამრივით და ინფანტილური და მდორე რომ ვერ გავხდი მამაჩემივით, რომელმაც კომენტარი გააკეთა, რომ მე უპასუხისმგებლო ვარ და ადაპტაციაში ვერ შევდივარ ქალაქთან

და საზოგადოებასთნ, საზოგადოება არის ის, ალბათ, რომ ვერ გაუგიათ, ვისთან არიან და საერთოდ რა უნდათ, ვინ უყვართ, თუ რა წამთ, ის არის საზოგადოება ერთმანეთისთვის თავს რომ იწვავენ, მიდიან მოდიან თუ საერთოდ ისე რომ ბერდებიან, ასე არიან რა, რა უყვართ ან რა ეზიზღებათ და საერთოდ ის საზოგადოება, რომელიც დაბადებიდან იმას რომ ჩალიჩობენ, რომ მოკვდებიან ვინ რას იტყვის მათზე, ის საზოგადოება და თბილისის პონტი რომ ელოდებიან როდის რა შეგეშლება ოღონდ, მაგათი აზრით შეგეშლება, და ამაზე ილაპარკონ და ხაზი გაუსვან რომ უფრო მაგრები არიან, ვიდრე ის, ან მე ან სულერთია ამ საზოგადოების თვალში, ვარ და ვიყავი მე არასერიოზული და მიხარია, რომ მეც იმათსავით, საზოგადოების ნაწილი არ ვიყავი და არც ვარ.

მოკლედ, ეს ოჯახური ხელოვნური

ბედნიერებაც გავიარე და ისევ ამ ვითომ დალოცვილი ხალხის გვერდით გავნაგრძე ვითომ ცხოვრება, ვითომ იმიტომ, რომ ხომ ვამბობდი, აქ ვარ მარა მართლა სულ ის განცდა მაქვს რომ ტყუილად ვარ აქ და ტალღების მოლოდინში ვარ სულ.

ცხოვრება თბილისური და რაღაცნაირი იცვლებოდა, მეც ვიზრდებოდი და რასაკვირველია არაფერს არ ჩამოვრჩებოდი და თან ალბათ ვისწავლე როგორ არ შეემძრნია ეს მარაზმი და ვითომ აზრზემოსული ხალხი და ვითომ აზრზემოსული გოგოები, კლუბები და ნარკოტიკებიც, ამ ხელოვნურ და გაღუნულ ხალხთან, ნარკოტიკებიც ნელა და უმტკივნეულოდ შემოდიოდა ჩემს ცხოვრებაში, ესე მტკიცედ და საშიშად არ მიუდგეთ, უბრალოდ ესეა, თავისუფლების და სიმართლის პოვნაში გჭირდება და ზომიერად და თხლად ჩემი აზრით ნორმალურმა და

ინტერესიანმა ადამიანმა უნდა ცოტ-
ცოტა გასინჯო და იფიქრო, იქიდან იმ
მდგომარეობიდან ამ ყველაფერზე და
შენს თავზეც ალბათ!

სიმართლე რომ გითხრათ, ბევრი
მათგანი მომეხმარა ბევრ რამეში, ბევრმა
მავნო და აღარც ვაპირებ იქით გახედვას
ისევ იმიტომ, რომ ის ჩემი არ არის და
ვერ მოვიხდინე, როგორც ის ქუჩა და
სიბნელე, რომელშიც უბრალოდ მე
იქ რა მინდოდა, ისევე არ მინდოდა
ზოგიერთი ნარკოტიკი, რომელიც მე არ
მეხება.

ამ ნარკოტიკის ილუზიაში და მართლაც
ილუზია და ეიფორია, მივაგენი ჩემ და
უნებურად და თავისთავად გამომრიცა
ტალღასავით, რომ აღმოვჩნდი
ხელოვანი ხალხის გარემოშიც, და
თან ჩემია და მივხვდი, რომ თითქმის
ნახევარზე მეტ ცხოვრებას ვატარებ
მათთან ერთად და ერთხელ არ
მიფიქრია რომ აქ ტყუილად ვარ ან

რატომ ვარ, ან რამე, სრულად შევერწყე
ხელოვნების მოყვარულ ხალხს და
ნარკოტიკების ბრალი სრულებით არ
იყო, ნარკოტიკი სხვა ბევრ ადგილას
არის და პირველ რიგში ქუჩაში.

ჩემსავით ყველანაირი ადამიანი,
ვისაც ხელოვნებასთან აქვს შეხება ის
ჩემი მეგობარი ხდება და ერთმა ჩემმა
ძალიან ახლო მეგობრამა მითხრა,
სხვათაშორის ისიც ხელოვანი და
ჩვენი დროის ფილოსოფოსია ჩემი
აზრით, ერთხელ მითხრა ჩვენი
კაცი ხარო, რომელიც შეიძლება
შენთვის არ ხარ, მაგრამ ხელოვნების
დაფასებისთვის და ხელოვნებასთან
ერთად მცხოვრები ხარო.

იმ დროს მეცინებოდა და ეხლა
ვხვდები, ის ნაღდი და ნათელი
ბუნებრივი და შიგნიდან ამოსული
მიყვარს და მეც, იქ სერფინგის დაფა
და ტალღა რომელიც მოცურავს თუ
მოფრინავს, იქ ვერც მოვიტყუები

და ვერც ვითამაშებ. ასევეა მემგონი ხელოვანი ხალხიც, რომლებსაც ჩემი ცხოვრების უმთავრესი ნაწილი უჭირავს. და საერთოდ, ეგ ხალხი რომ არ ყოფილიყო, ეხლა როგორი და რანაირი ვიქნებოდი...

ეხლა 31 წლის ვარ და ის ზემოთ აღნიშნული საზოგადოება ისევ და უკვე საფუძვლიანად არ მცნობენ და ზოგადად მოვიხსენიები როგორც ბოჰემის წევრი და არასერიოზული, ჩემი თავი კაცი და ასე შემდეგ, როდის მოვეგები გონს და უკვე ამხელა კაცი და ასე შემდეგ.

ისეთი საინტერესო და უინტერესო ამბებიც, ვისწავლე და არც ვისწავლე, და ყველაფერი ვნახე თითქმის და ვითომ თბილისელი და საქართველოში ვარ და თითქმის დავბერდი, მაგრამ ის სერფერი ვარ ისევ, ჩემი ცხოვრება წყლის, ზღვის და მზის გარდა არ არსებობს, თუმცა ჩვენთან სერფინგის

ტალღები არ არსებობს და საერთოდ,
იმ სტერილიზაციიდან უფრო უბედურ
სიბინძურეში აღმოვჩნდით, და
შეიძლება გაგეცინოთ და თქვათ რომ ეს
გიჟი, აქ, სერფინგისტი?!

აქ კი არა, სერფერობა სულიერი
მდგომარეობაა, ვერც გავიწყდება და
ვერც მოგბეზრდება. ეხლა ალბათ ის
მასწავლებელიც აღარ არის ცოცხალი,
როგორც დავითა, მაგრამ ისინი
სრიალებენ ტალღებზე და მიხსენებენ
მე.

აქ, საქართველოში, ბევრი რამე ვცადე
და ისეთი გულით და ისე კარგად
არაფერი არ გამომდის. ზაფხულობით
ზღვაზე ვარ ხოლმე მაშველად, რომ
პლაჟს და ზღვას არ მოვშორდე, და იქ
წყალში რომ ვცურავ, ვფიქრობ რომ
შეცდომით ხომ არ ვარ აქ რომ ვარ, მე
ხომ სერფერი ვარ და ჩემს თავს ვცემ
პასუხს, არა, კაია, სერფერობას ადგილი
და მდგომარეობა არ სჭირდება,

როგორც დედაჩემის გარდაცვლილი
ბიძაშვილი იყო ოკეანოლიგი,
სასაცილოა ხომ?

აქ, საქართველოში რატომ და,
რომ ეხუმრებოდნენ სრული
სერიოზულობით პასუხობდა, რომ
მე აქედან ანუ საბჭოთა წყობიდან
გავცურდები ოკეანეებითო. არ
ხუმრობდა და სახუმაროც არ იყო,
მაგაზე იჭერდნენ, წასვლა უნდოდა
კაცს, აქ ჩემი ადგილი არ არისო და მეც
სულ მაგას მეუბნებოდა ცოდო ხარ შენ
აქო. შეიძლება მართლაც ცოდო ვიყო
და მართლა და გაეცინოს ბევრს, რეებს
ბოდავსო და საქმეს მიხედოსო, მაგრამ
ჩემი საქმე ის არის, რომ აქ ვიყო და ის
სერფინგისტის თვალები და ცხოვრების
სიყვარული შევინარჩუნო, რაც ძალიან
ძნელია.

იქ, ტალღების დაბერილი ნიავი
სამოთხის ნიავეს ჰგავს, ის ტალღის
ფერი – მთელ ცხოვრებას, ზედ

გაცურება თუ გაფრენა... ჩვენს ოცნებას,
რომელიც აგვიხდა, ისეთი მეოცნებე
და რომანტიკოსიც არ ვარ პირიქით
ცოტა რეალისტი და ბევრ საკითხებს
დეპრესიულად და შეიძლება შავად
ვუყურებ, მაგრამ იქაც მთვარეა და
ცუდშიც არის ის სასიამოვნო და
უნდა გასინჯო სიბნელეში უნდა
გაცურდე, სულ სრიალია ეს ცხოვრება
და სერფინგისტის არ იყოს, წყლიდან
მშრალი ვერ გამოხვალ, მოკლედ ესე
ვსრიალებ და ხან ღამე და ხან კარგი
ტალღაა, ხანდახან საერთოდ არ არის
ტალღები და ხელოვნურად მიწევს
ტალღების გაკეთება და ცხოვრებაც
ოკეანესავით ხომ არის ლამაზია და
საშიში, ღრმა არის და დაუცველი,
ცოტა ამოუცნობიც და ხანდახან
დამღუპველიც, მზე და ღამეც,
ჰაერიც და ჩვენც სერფინგისტები
ვჭირდებით რომ განაგრძოს
არსებობა და ჩვენც ვიღებთ მისგან
მაქსიმალურს და ვისაც ის სტერილური

ან მატერიალური დემოკრატიის
კომფორტი უნდა, ურჩევნია,
რასაკვირველია ან იხრჩობიან ცურვის
დროს, ან საერთოდაც გაუგებრად და
უინტერესოდ ამთავრებენ.

ჩვენ, სერფერებმა ჩაკეტილშიც და
უხელ-ფეხოდაც გავცურეთ და იქედან
დაბრუნებულები ცხოვრების ძველ
და უსიამოვნო ყოფას ჩავებით. იმის
მერე მამაჩემიც მიხვდა რომ მეფე არ
არის და მაშინაც არ იყო, ბაბაუაჩემი
“ნუგზარიც” გარდაიცვალა რომელმაც
ბევრი სულიერი თუ კაცური რალაცეები
მასწავლა, ჩემს დას თვალები
გაუსწორდა და ორჯერაც მოასწრო
გათხოვება, დედაჩემი და მამაჩემიც
გამორდნენ და ის ბებია “კუბელი” და
“ლაშაც” დაბერდნენ და გააგრძელეს
ცხოვრება, ის სტერილურობა და
უბედურებაც დამთავრდა და ეხლა
მეორე უბედურებაში ვართ და ისევ
თითქოს იგივეა და მარტივი, მაგრამ
მე როგორც ვტოვებდი იქაურობას,

დარდით და სიცარიელით, ისევ
ისე ვარ, ამ დახუთულ და სნობურ,
ამპარტავან და შურიან ხალხში,
რომლებსაც სიცილი უჭირთ და არ
შეუძლიათ სხვისი ბედნიერებით
დატკბნენ.

კარგად ვერ გადმოგეცით აზრი, მაგრამ
აზრი და ცხოვრების სიყვარული
ერთია. მთავარია გიყვარდეს რასაც
აკეთებ, თორე რას აკეთებ ეგ კიდევ
მეორე ხარისხოვანია. მთავარია ის
შეიგრძნო და მიხვდე ვინ ხარ და რა
არის შენი.

მე ბოჰემის, ზღვის, მზის და ცეცხლის
შვილი ვარ პლაჟზე, ის ვარ, სულ რომ
ტალღებს ელოდება და ყოველთვის
მზადაა შეცურდეს.

ბავშვობაში ფილმი იყო
სერფინგისტებზე, პატრიკ სუეიზი
რომ თამაშობდა, იმ ფილმს ნუ
გაიხსენებთ, იმიტომ რომ ის ზღაპარია
და ტყუილი, ისინი არცერთი სერფერი

და ჩვენებური არ ყოფილა. ნამდვილი სერფერი ჩემი მასწავლებელი იყო და ცოტანი ვართ, აი ის ვართ ჩვენ, პლაჟზე რომ ცხოვრობენ პალმებში, თქვენთვის ბომჟები რომ არიან, იქვე რომ ცხოვრობენ ზღვასთან, ზღვა რომ აჭმევთ და ტალღას, რომ ელოდებიან სულ, ის ხალხი ვართ ჩვენ, პლაჟზე რომ არჩენენ ხალხს და ქვეცნობიერად სადღაც წყალში იმედი რომ გაქვს ის მობერებულები, დაზაგრული და ცოტა ღიპიანი, ნასვამი ან მოწეული მოსრილდება და გადაგარჩენს, ან თუ შველა არ დაგჭირდა, მაინც სულ იქ არის და ის კაცი ვარ მეც, რომელიც რომელიმე სანაპიროზე ბამბუკის ფაცხაში ვიცხოვრებ სერფინგის დიდი და ნამუშევარი დაფით, ცივილიზაცია სავარაუდოთ არანაირი არ იქნება, ვისაც უნდა, რომ იცოდეს ეცოდინება და მნახავს, იქ ვიჯდები და ალბათ პატარა ბავშვებს ვასწავლი ცეცხლთან რამეს, სერფინგს თუ არ ისწავლიან,

თავისუფლებისთვის ბრძოლის ჟინს
მაინც გავუღვიძებ.

ასეთი ამბავია და ჯერ აქ, შებოჭილ
და დაპროგრამებულ, ჩარჩოების,
უმოქმედობის და ერთფეროვნების
ქვეყანაში ვცხოვრობ, იმ თავიდან
მიკვირდა, რატომ გავს ყველა
ერთმანეთს ამ ქვეყანაში, მგონია, რომ
არაფერი არ ეშველება აქაურობას და
ჩვენც, სანამ ჩვენი არ ვიცხოვრებთ
და არ დავანებებთ გარშემო ყურებას
თავს, სერფინგში ერთი წესი იცით რა
არის? იყურე შენთვის, იმიტომ, რომ
აქეთ-იქით როგორც დაიწყებ ყურებას
აყირავდები!

მოკლედ ესე იყო, ყველას თქვენი
ტალლის დაჭერას, ან ამ ტალღაზე
გაცურვას გისურვებთ, როგორც იმ
დღის მერე მივცურავ, და თუ არ
მივცურავ, სულ ყოველთვის მზად
ვარ, იმიტომ, რომ სერფერი ვარ და
ყოველთვის ვიგრძნობ, ან ვნახავ

გასასრიალებელს. ვის რა ოცნებები აქვს და ვინ რაზე ოცნებობს. ჩემი ოცნებაა იქ ვიყო ოკეანესთან მე და ჩემი საყვარელი ადამიანი, რომელიც ჩემსავით თავისუფალი, მზის, ზღვის და ტალღების შვილია.

ვიყოთ იქ და არაფერი, ზღვის და ტალღების მეტი, არაფერი გვაწუხებდეს,

ზღვა გვასაზრდოვებდეს და მზე გვაცოცხლებდეს,

იქ ვბერდებოდეთ, სადაც არაფრის და არავის შეზღუდვა არ არის, წინ ჰორიზონტზე ლაგუნაა და ის ნავაროჩენი და ჩარჩოებში ჩასმული, ამბიციური ხალხი საერთოდ არ არის,

მარტო გემებიდან გიქნევდნენ ხელს, პრინციპში, როგორც ეხლა ვუქნევთ ერთმანეთს.

ერთადერთი, ყველაზე ძალიან მწყდება გული რომ დავითამ ვეღარ

მომისწრო და დაღუპული დამხვდა
კუბიდან რომ დავბრუნდი, მაგრამ ის
ოცნება ავუხდინე და მისი სახელიც
დავწერე სადაც უნდოდა, და მეც იმ
ბედნიერებას მაზიარა, რასაც ოცნება და
თავისუფლებისკენ სწრაფვა ქვია.

ის მეგობრებიც, რომლებზეც ჩემს
ამბავში მოგიყევით, ზოგი კაპიტანია,
ზოგიც ფილოსოფოსია და ზოგიც
პოეტი... და დამერწმუნეთ, სათითაოდ
სულყველა ის ხალხია, ვისაც თქვენ
ყოველდღიურად ხედავთ და ხვდებით
და ვერც ამჩნევთ, როგორ გეხმარებიან
და გაძლიერებენ.

ეს ისტორიაც დასასრულს უახლოვდება
და ყველა ადამიანი, მე ეგრე
მგონია, რომ თავისი პოტენციალით
ყოვლისშემძლეა, და უბრალოდ,
ვის რა ვინ და სად უნდა იყოს და
იქნება, უბრალოდ ნამდვილად
უნდა გრძნობდე, და მართლა
იყო ის კაპიტანი პოეტი მწერალი

სერფინგისტი.

მე სერფინგისტი ვარ და
აუცილებლად დაველოდები ტალღას
და აუცილებლად შევცურდები
აუცილებლად.



> გამოუქვეყნებელი სიზმრები

World Wide Dreams Web



wwdw.org ინტერნაციონალური
არტ-პროექტია, რომლის საბოლოო
მიზანსაც, ლოკალურ სიზმართა
რეგისტრაციების გზით, მსოფლიოს
მიმდინარე სიზმრების ცოცხალი
არქივის შექმნა წარმოადგენს.

გთავაზობთ WDDW-ის ბაზაში
იუზერების ატვირთული სიზმრების
რამდენიმე ნიმუშს.

დრიფტი

წუხელ დამესიზმრა საქართველოში
ერთერთი უძლიერესი მოდრიფტავე.
უბანში ვიდექი მოვიდა ბმვ ნომრებით
OOM-500 გამოველაპარაკე ვუთხარი
რომ მაგრად მომწონს, ვაფასებ მის
შესაძლებლობებს და ბევრი ვიდეო
მაქვს ნანახი. ბიჭმა არც აცია არც
აცხელა და დაიწყო დრიფტაობა,
იმდენი იცურავა მანქანით სანამ არ
ამოყირავდა მართალია არაფერი
მოსვლია მაგრამ მანქანა დამენანა. the
end

თარიღი: Saturday, February 9, 2013 -
10:30 სქესი: Male სახელი: sergeevich
უბანი: Varketili ქალაქი: Tbilisi

სიკვდილის ლაბირინთი

სიზმარი ექსტრემალურად იწყება:
სწრაფად მიმავალ ფურგონში რომელიც
თვალეზახვეულს და ხელებშეკრულს
ხმაურიან და შეიარაღებულ
ტერორისტებთან ერთად სადღაც
მივყავარ. უკვე ვიცი რომ მათი მძევალი
ვარ.

ფურგონი ჩერდება და გარეთ მისვრიან
ამ დროს მხედველობა აღმიდგა და
ვხედავ რომ უდაბნოში მიმიყვანეს,
კარები დახურეს და სწრაფად
გაუჩინარდნენ.

ჩემიდან მარცხნივ ვხედავ რომ
ბალახის მჭამელი დინოზავრების
მწკრივად დალაგებული ჯგუფი წინ
მიიწევს, ისინი ნელნელა ჩემსკენ
ტრიალდებიან და ერთდროულად
ჩემსკენ გამოემართებიან, ფაქტია
კარგს არაფერს მიპირებენ, ვიცი რომ
შემჭამენ, უცნაური ისაა რომ ძალიან
კეთილი სახეები აქვთ, მილიმიან და

თან ვხედავ რომ ამის მიუხედავად ჩემს შესაჭმელად უფრო და უფრო ჩქარა მოიწევენ.

ძალიან შემეშინდა ვცდილობ უკან დავიხიოო და შუაგულ უდაბნოში ზურგით კედელს ვეჯახები რომელიც თითქოს ჩემს დასახმარებლად გაჩნდა იქ და “ჩამყლაპა”. კედელში აღმოვჩნდი და სადგაც მიწისქვეშ გადამისროლა, ძირს დაცემის შეგრძნება ძალიან უსიამოვნო იყო. ეხლა ვცდილობ აღმოვაჩინო თუ სად ვიმყოფები. სადღაც ბნელ, მაღალჭერიან შენობაში, ძალიან გავს ძველ და მიტოვებულ ქარხანას. ყველგან წყალი წვეთავს. წვეთების ხმა მოდუნების საშუალებას არ მაძლევს. (წვეთების ხმა ბავშვობიდანვე საშინლად მაღიზიანებდა, ნერვოზული დამოკიდებულება მაქვს.) აღარ მახსოვს კეთილ სახიანი დინოზავრები რომლებიც შეჭმას მიპირებდნენ, ეხლა ჩემი მთავარი საზრუნავი ამ ბნელი და საშიში

შენობიდან თავის დაღწევაა. უცებ
სიბნელიდან გამოვარდა თეთრსახიანი
ადამიანის მსგავსი არსება რომელიც
ბორბლებიან სავარძელში იჯდა
და ხელში დიდი დანა ეჭირა. მისმა
დანახვამ ისე შემაშინა რომ მაშინვე
გამომეღვიძა საშინლად დათრგუნულს
და გაფითრებულს.

თარიღი: Wednesday, December 5, 2012
- 02:15 სქესი: Male სახელი: Levani
ქალაქი: Tbilisi

სპეცოპერაცია

ტერორისტებმა იარაღი დაარიგეს და
ვიბრძოდით ყველა, მაგრამ არავინ
იცოდა რისთვის და რატომ...მერე
მეთაურმა თქვა, რომ ვიღაც მძევალი
უნდა გაგვეთავისუფლებინა, მაგრამ
მძევალი არავის ჰყოლია და ამიტომ ვერ
გავათავისუფლეთ...

მერე გამოვედი გარეთ (მანამდე სად

ვიყავი არ მახსოვს) და პეკინის ქუჩაზე
ვსერიწობდი ვიღაც გოგოს ხელთან
ერთად (ხელჩაკიდებულები, უფრო
სწორად მისი ხელი იყო ჩემს ხელზე
ჩამოკიდებული, მაგრამ რაც იყო კარგი
იყო:) და მერე მალევე გამეღვიძა მგონია
(ასე მეგონა და რავი)...

თარიღი: Tuesday, November 13, 2012 -
14:45 სქესი: Male სახელი: გეგა უბანი:
Saburtalo ქალაქი: Tbilisi

უცნაური კინოსეანსი

მე და ჩემი მეგობარი, ანი, კინოში
წავედით. ვიყიდეთ ბილეთები და
დაწყებამდე ჰოლში დავსხედით,
რამოდენიმე წუთში, როცა უკვე
შესვლის დროც მოვიდა, სხვა მეგობარმა
დამირეკა, გიომ, და მითხრა რომ
ისიც კინოში მოდიოდა მაგრამ
უნდოდა შევხვედროდი და ამიტომ
გადავწყვიტეთ ანი შესულიყო და მე

თუ შემაგვიანდებოდა გიოსთან ერთად
დარბაზში ვიპოვიდი.

წავედი გიოს შესახვედრად და
რატომლაც, გარემო შეიცვალა,
ყველაფერი სხვანაირად მეჩვენებოდა,
მთელი კინოს შენობა რაღაც სკოლას,
დიდ დერეფნებიან და დარბაზებიან
შენობას გავდა. მე დავიკარგე. ვერც გიო
ვნახე ვერსად და ვერც ანის მივაგენი,
ყველაზე უცნაური კი ამ დროს
სადღაც ცხენი ვიპოვე ამ შენობაში,
ქირავდებოდა სხვათაშორის, და ის
ვიქირავე, რომ რატომღაც ასე უკეთ
მეგონა ვიპოვნიდი დარბაზს სადაც ანი
ჩვენ ფილმს უყურებდა.

ძალიან სასაცილო იყო დერეფნებს
შორის ცხენით სიარული, ყველა
დარბაზთან გაჩერება და ცხენითვე
მასში შეხედვა. ერთ–ერთ დარბაზში
მართლაც გადიოდა ფილმი, გამიხარდა
და შევედი რომ ანი მეპოვნა მაგრამ
მალევე მივხვდი რომ სულ სხვა სეანსი

იყო, აქ ერთმა ჩემმა ნაცნობმა დამინახა და გარეთ გამომყვა, გაუკვირდა ცხენით და ესეთი შეშინებული რომ დამინახა, თანაც აღმოჩნდა რომ იცოდა ჩვენი სეანსიც რომელ დარბაზში გადიოდა და იქეთ გამიშვა, მაგრამ რათქმაუნდა ისიც ვერ ვიპოვე, სადაც მან ამიხსნა სულაც არ იყო დარბაზი, პირიქით, იმ კარით საერთოდაც გარეთ გავედი და კიდევ უფრო ამერია ყველაფერი.

ამ ყველაფრის მერე კი რატომღაც ძალიან შეშინებულს და დათრგუნულს გამეღვიძა, მაგრამ სიზმრების ახსნამ დამამშვიდა, ცოტა აი რა ეწერა იქ: “მუქი ფერის ცხენი გალაღებას, თუმცა ზოგიერთ შემთხვევაში, დაუკმაყოფილებლობას ნიშნავს. შენი თავი ნახო ცხენზე მჯდომარე-ბედნიერება და სიხარულია. ქალისათვის ეს სიზამრი ნიშნავს სრულყოფილებისაკენ სწრაფვას. ცხენით ან მის გვერდით სიარული-კომფორტი და სიმშვიდეა. საერთოდ,

ცხენის ნახვა–სიმდიდრის ზრდა
და სიხარულია ცხოვრების ყველა
სფეროში.” არმჯერა, მაგრამ იქნებ

თარიღი: Wednesday, November 21, 2012
- 08:45 სქესი: Female სახელი: თათა
უბანი: Saburtalo ქალაქი: Tbilisi

მეტრო

მეტროში შემოვიდა კაცი, ქვემოდან
ამოვიდა ელექტრო ხერხი და ეს
კაცი გაჩეხა, იქ მჯდომებს სისხლის
წვეთები ესხურებოდათ. შემდეგ
ექსკალატორზე ასულ ხალხს ზემოდან
კაუჭები ერჭობოდათ და ვინც ცოცხალი
გადარჩებოდა იმას Alpen Gold-ის
შოკოლადის ფილას ჩუქნიდნენ.

თარიღი: Friday, May 31, 2013 - 12:15
უბანი: Gldani ქალაქი: Tbilisi

> მოთხრობა

REZ001

ირინა აბრამიშვილი



ჩვენ ერთმანეთი გვიყვარდა და ქუჩებში
დავდიოდით, არ გვიფიქრია რატომ,
გვიყვარს თუ არ გვიყვარს, გვინდა თუ
არ გვინდა, უბრალოდ გვიყვარდა.

კაპიტალიზმის შემოსვლასთან ერთად ცხოვრება გართულდა, ახლა აღარაა საკმარისი მარტივი სიყვარული, ახლა სიყვარული სექსის ხარისხის დონეს უტოლდება, სიყვარული ნიშნავს კომფორტს, და პრობლემების ნულამდე დაყვანას, თუმცა ახლა უფრო დაბნეულები ვართ და არ ვიცით, გვიყვარს თუ არა, გვინდა თუ არა.

ისიც ვიცით, რომ სიყვარულისგან ბავშვები ჩნდებიან, რომ ფულია საჭირო, რომ წარმატებული უნდა იყო, რომ ყველა უნდა ამაყობდეს შენით, რომ შენი ოჯახის წევრებმა განუხორცილებელი ოცნებების რეალიზაცია შენში სურთ ნახონ. ჰოდა ვფიქრობთ, ან არ ვფიქრობთ, გვინდა თუ არა ეგ სიყვარული.

მაშინ კი, ბავშობაში, სიყვარული იყო ის როდესაც ყველაზე ბედნიერი იყავი, სულერთი იყო სად როდის როგორ მთავარია ის იყო, ხედავდი

და გაუღიმებდი. ყველაზე დიდი, ფენოვან ხაჭაპურზე დაგპატიჟებდა და ბედნიერი ფენოვანიან ხელს ჩაგკიდებდა და სახლში გაგაცილებდა, სახლთანაც თუ გაკოცებდა ტუჩებში, ეგ იყო შენთვის ყველაზე ხარისხიანი სექსი. მერე მთელი ღამე არ დაგეძინებოდა და იფიქრებდი რომ ხვალ ისევ ნახავ, რომ ისევ შეჭამთ ხაჭაპურს და ისევ გაკოცებს ხაჭაპურიანი ტუჩებით ტუჩებში.

ჩემი და რეზის ურთიერთობა ასე დაიწყო. ნახევრად რომანტიკულ ნახევრად კაპიტალისტურ პირობებში. ერთმანეთისგან არ გვინდოდა თითქოს არაფერი, გვეზარებოდა პასუხისმგებლობა, ფიქრი, სახელების დარქმევა ყველაფრისთვის. იყო ისე როგორც იყო. უბრალოდ რთულია შეინარჩუნო ეს სიმარტივე, მაშინ როდესაც 30 წლის ხარ და შენს გარშემო ცხოვრება ეშმაკის ბორბალივით ტრიალებს, შენს მეგობრებს აღარ

აწუხებთ არაფერი ზოგადი, ყველას თავის პრობლემა აქვს: სახლი, ვალი, ქირა, კრედიტი, ოვერდრაფტი, ქმარი, შვილი, საყვარელი, უსაყვარლობა.

შენ კი თითქოს გაიჭედე, რაღაც მომენტში ველარ განვითარდი. ჰოდა, ძალიან გეუცნაურა როდესაც რეზიმ, ბუნებრივად აღიქვა ის, რომ ფენოვანი გემრიელია. ერთი მომენტი იმაზეც ვიფიქრე, რომ კაცს როცა უნდა, ფენოვანს შეჭამს კი არა გამოაცხობს კიდევ, ოღონდ „საქმეს“ წაადგეს. მაგრამ ნურას უკაცრავად, რეზის ეს დაჟინებული სურვილიც დიდად არ ეტყობოდა, დიდად ყურადღებასაც არ აქცევდა თითქოს და ეს მამლევდა სრული თავისუფლების განცდას. მიდი და რაც გინდა ის აკეთე.

მერე რაღაც ჩვეულებრივს დაემსგავსა ჩვენი ურთიერთობა, რეკვა, ცოტა გრეხვა, და შეერია ამ ყველაფერს ის, რომ „არ ვიცი რა უნდა ვუყო ჩემს

ცხოვრებას“ მინდა? არ მინდა? მამენტ
კაი ბიჭია, მამენტ ყველა ეგეთი არაა?
მერერა მე რომ მგავს, ეგ არაფერს
კარგს არ ნიშნავს, თან მკიდია და იყოს
როგორც არის, თუმცა ეგრეც არ ხდება
– იყოს როგორც არის ყოველთვის
გადადის იმაში, როგორც არ უნდა იყოს.
ისე კი მიხარია რომ ვხედავ და რომ
ვართ ერთად.

რეზიც ამ ფიქრებში იყო, უფრო
სწორედ რეზი ნაკლებს ფიქრობდა,
მის ცხოვრებაში ისეთი აურზაური
იყო, რომ რაიმეს დალაგებას აზრი არ
ჰქონდა, ყოველთვის ერჩივნა რომ სხვას
დაელაგებინა მისი ცხოვრება, სხვას
ეთქვა ეს კარგია, ეს ცუდი, დედისერთა
ეგოისტი შვილის მანერით. თუმცა,
ასაკმა და გამოცდილებამ მაინც
შეაძლებინა კრიტიკულ მომენტებში
რამის გაკეთება ან არ გაკეთება. იცოდა
რომ ცხოვრება ერთია, თუ ეხლა არა,
მაშინ – ვერასდროს.

რეზი მიჰყვებოდა თავისი ცხოვრების დინებას. ერთხელაც გადაწყვიტა და ძალიან მოუნდა რომ მისი ცხოვრებაც ყოფილიყო დალაგებული. ქონოდა ელიტარული სახლი, აგარაკი, სამსახური პერსპექტიული და მაღალანაზღაურებადი. ჰოდა ადგა და მიაღწია ყველაფერს რაც უნდოდა. რა არის იმაზე მარტივი რომ გქონდეს სახლი - აივნით, სამსახური - უსაქმური და ფულიანი. ფული აკეთო - „ისე“, რესტორნებში - შენ დასტვენაზე იცეკვონ და ცოლი - გყავდეს მუდმივად ორსული? - არც არაფერი - ფიქრობდა რეზი.

ჩაისუნთქავდა და გაახსენდებოდა ბავშობა, ამოისუნთქავდა და გავახსენდებოდი მე. მერე ისევ ჩაისუნთქავდა და გაახსენდებოდა კედელზე ქუჩიდან შემომავალი მანქანის ჩრდილები როგორ ჩნდებოდნენ და ქრებოდნენ, ამოისუნთქავდა და გაახსენდებოდა

რომ ზურას უნდა დაურეკოს ხვალ.
ისევ ჩაისუნთქა და გაახსენდა როგორ
ეგონა ბავშობაში, რომ ცხოვრების
ყველა წამი ემახსოვრებოდა.
ამოისუნთქა და გაახსენდა როგორ
თხრიდა ეზოში ამერიკას. ეგრე
ისუნთქა ერთი 50 ჯერ და მიხვდა
რომ დიდი დრო გავიდა მას შემდეგ,
რაც ბოლოს რამეზე იფიქრა „კეთილ-
მოწყობილი“ ცხოვრების გარდა. ჰოდა
დაიწყო ისევ ფიქრი. თუმცა აღარ იყო
მის ცხოვრებაში აღარაფერი, რაზეც
ფიქრი ღირდა. და მერე მე გავახსენდი -
როგორც ხდება ხოლმე.

ჩემზე ბევრს არ ვილაპარაკებ, მოკლედ
მოვყვები. როცა დავიბადე დაბადება
არ მინდოდა, და რომ დავიბადე
მაინც სულ იმას ვფიქრობდი როდის
მოვკვდები. განვიცდიდი სუდანში
სიღარიბეს, კამოზე გახეთქილ
კანალიზაციას, ჯომოლუნგმაზე
თოვლის დნობას და გლობალიზაციას.

მოკლედ ამ ამბებში ვიყავი,
ვისუნთქავდი ღრმად ჩემს წინ
მიმავალი „ვოლგის“ გამონაბოლქვს
და გარშემო ყველა კაცი მე მაგინებდა.
მანქანა ძლივს გავაჩერე ბანკთან,
გადმოვედი, ბანკის კარები შევაღე და
ის დავინახე.

ავხედე, ჩავხედე, შევაფასე ფეხსაცმელი,
საათი, სათვალე და გადავედი თუ არა
პერანგის თვალიერებაზე, მივხვდი
რომ რეზის ჰყავს მეორე ნახევარი
გვერდით, რომელიც ზრუნავს,
რეცხავს და აუთოვებს რუდუნებით,
რომელიც ისე უბრალოდ კი არ ჩაყრის
სარეცხის მანქანაში ყველაფერს რაც
გარშემო ყრია. არამედ დაკვირვებით
არჩევს, ათვალიერებს, ყნოსავს
და ისე ანაწილებს რა რასთან, რა
ტემპერატურაზე და რა სიხშირით
უნდა გაირეცხოს. ჰოდა ეგდოს,
იცხოვროს თავისი უაზრო ცხოვრება.
ყოველ ღამე ტელევიზორს რომ
ჩართავს შემშურდეს წარწერის - „არ

არის სიგნალი“. ინატროს რომ არავინ გაბურღოს და დილას ბავშვები რომ შემოვლენ ოთახში თავი მოიმძინაროს. გულში კი ფიქრობდეს თქვენი დედაშევეციო. მაგრამ ვაი რომ მართლა შესცა მაგათ დედას, და ვაი რომ როცა გინება რეალობად იქცევა თავის ფუნქციას კარგავს და გულსაც კი ვერ მოიოხებს კაცი.

რეზიმ კი ბანკის შესასვლელ კარებთან რაღაცნაირად შემომხედა - გეგონება სულ ერთად ვიყავითო. სახლში რომ მივედი, მერე დავიწყე ფიქრი ის უნდა მეთქვა ეს უნდა მექნა. იქ კიდევ იმ ბანკის დედააფეთქებულ კართან ვიდექი როგორც შუშანიკი პიტიახშ ვარსქენის წინაშე - შეშინებული და დავრდომილი, ოდნავ მომღიმარი სახით, თვალებიდან რომ საცოდაობა გამოსჭვივის და რომ იბრალებს გმირობას.

ტელეფონის ნომერი კი გამომართვა

- „რა იცი რა ხდებაო“ - სწორი იყო რეზი, დღემდე არ ვიცი რა ხდება. ისევ ისე ვართ როგორც 20 წლის წინ. და სად გაქრა ყველა ჩემი შეძენილი უნარ-ჩვევა წარმოდგენა არ მაქვს. როცა ერთად ვართ სულ მინდა ვილაპარაკოთ მაგრამ დრო მენანება და ვფიქრობ მერე ვილაპარაკებთ მეთქი, მერე კი დრო ისევ მენანება. და მიხარია რომ შეიძლება ვინმესთვის გენანებოდეს დრო. დრო ხომ აქამდე მარტო იმისთვის იყო რომ გამეყვანა.

გუშინ წავედით კარაოკეს ბარში საერთო მეგობრებთან ერთად, რომელთაგან ერთ-ერთი, რა თქმა უნდა რეზის ბავშობის მეგობარი, გაუჩერებლად ღნაოდა და ძირითადად ქართულ საესტრადო სიმღერებს. რეზის ცოტა ელიმებოდა, მაგრამ ზუსტად ვიცოდი, რომ მე რომ არა, ისიც გამამხნევებელი შემახილებით აუბამდა მხარს.

საერთოდ ეს კარაოკე ხელოვნურად მოგონილი გართობაა - თავის გამოჩენის მიზნით.

და მე არც კი მეგონა რომ ამდენი მსურველი იქნებოდა მიკროფონის რიგში.

ვიჯექი, სავარაუდოდ, გაოგნებული სახით, და ვუცქერდი როგორ ახტებოდნენ გოგოები ერთმანეთს და სამ-სამი ან მინიმუმ ორნი ერთად მაინც და მიკროფონს დაძგერებული ასრულებდნენ ძირითადად რუსულ სიმღერებს.

მერე სახლში წამოვედით, უფრო სწორედ ჩვენ-ჩვენ სახლებში, და ისეთი დაღლილი ვიყავი რომ თვალები დავხუჭე და ისე მოვდიოდი.

კარგია, როცა შეგიძლია ვინმეს ისე მიენდო, რომ თვლადახუჭულმა იარო, როცა ძალიან დაიღლები. ბავშობის თამაში გამახსენდა, ზურგით რომ დგახარ და რო უნდა წაიქცე და

დაგიჭირონ. ეგ თამაში ყოველთვის გამომდიოდა, ისე ვეშვებოდი რომ ვინ მიჭერდა ისიც კი არ ვიცოდი, სხვებს კი ეშინოდათ ხოლმე და მე მიკვირდა.

ეხლაც ასე ვარ, თვალეები დახუჭული მაქვს და მივდივართ, ისე რომ, რეზიმ არც კი იცის ჩემი თვალდახუჭულობის ამბავი. თუ წავიქეცი, ამაყენებს - ამის მჯერა! მეტი არც არაფერი მინდა თითქოს მისგან. ამაყენებს და მერე თავის გზაზე წავა, მაგას ხომ თავისი ამბები აქვს - საქმე-მაქ-მე. თან ხომ ეშინია ვინმე ნაცნობმა არ დაინახოს ჩემთან ერთად - მე ხომ ნაშა ვარ და ეგ კიდევ ცოლიანი სირი.

სახლში რომ მივედი, “ცივიწყალი” დავლიე და დავიძინე. რეზი კი სანამ მე “ცივიწყალს” ვსვამდი უკვე მერვე სიზმარს ხედავდა, მაგრამ დილას აღარც ერთი სიზმარი აღარ ახსოვდა.

გათენდა კვირა დილა! როგორც ყოველთვის, კვირას რეზი თავის

მეუღლე-ბავშვებიანად დედის
მოსანახულებლად და სადილის
ჩასახეთქად იყო მიწვეული ბარნოვის
27 ნომერში.

ქალბატონი რუსუდანი, იგივე
რუსიკო. კულტურული, ზომიერად
ერუდირებული, ბევრი ფულის-
ქონის მამაგებელი, მაგრამ
პრაგმატული ქალბატონი იყო.
გათხოვდა ოდნავ გვიან, რეზი კი
მისი ერთადერთი ნაშიერი გახლდათ.
თავისი მუსიკალური კარიერა, ანუ
მუსიკალური სკოლის საპატიო
მასწავლებლობა, თავისი 80 მანეთიანი
ხელფასით რეზის აღზრდას შესწირა.

რეზი იზრდებოდა ლალად, არ აკლდა
შოკოლადი და პეჩენია, თავს რომ
ბანდნენ პირსახოცს შემოახვევდნენ
ხოლმე და იჯდა მერე ერთი საათი
ლოგინზე ბუსავით.

ყველა სურვილს უსრულებდნენ,
ყველგან უშვებდნენ - ოღონდ

მხოლოდ მაშინ, როცა ეს სურვილები დედის სურვილსაც ემთხვეოდა, თუ არა და „რეზის დედას რეზი აღარ ეყვარებოდა“.

თანდათან გამოიმუშავა რეზიმაც იმუნიტეტი დედის მიმართ, ყვლეღაფერი კარგად იყო, დედაც ბედნიერი, რეზიც ბედნიერი. მთელი ღამე სახლში არ მოდიოდა, მაგრამ თან დედასაც ურეკავდა და აწყნარებდა, ბევრი გოგო ურეკავდა და დედამისს კი ეუბნებოდა რომ ბოზები არიან.

ტყუილით არ ატყუებდა, უბრალოდ რატომ უნდა ენერვიულებინა დედა, რომელმაც გაზარდა, აღზარდა აჭამა და ასვა! რომელმაც, მამენტ იდიოტი მამამისი აიტანა რეზის გულისთვის და კარიერასაც დაანება თავი. და ბოზებს არაუშავს, მთავარია ვინმე გოიმი არ შეეტენოს. როგორც იციან ხოლმე დაორსულება და მერე შეტენვა. თან რეზისნაირი ბიჭი ცოტაა თბილისში,

ასე რომ იცოდა ეს ყველაფერი რეზიმ და მიჰყვებოდა ამ თავის დათქმულ გზას.

„გამო ვაცხვეთ ხაჭა პური, აი ამ სიმააა ღლეეე აი ამ სიგა ნეეეეე“ - აი სახის ამ გამომეტყველებით, შეხვდენ რეზის მშობლები რეზის და მის ტკბილ ოჯახს სადილზე. და ყოველ კვირა ასე გრძელდებოდა, იმ განსხვავებით რომ ხაჭაპური კვირიდან კვირამდე უფრო მაღალი და უფრო განიერი გამოსდიოდათ! შესაბამისად იმატებდა წონაში ბატონო ოთარი - რეზის მამა, რომელსაც წნევა, ალები და წარსული ცოდვები აწუხებდა.

“ოთარ, გადაილე ბადრიჯანი დედიკო” - მიმართავდა რუსიკო საკუთარ ქმარს. ყველა მიჩვეული იყო და არავის არ ეუხერხულებოდა რატომღაც, რომ ქალბატონ რუსუდანს ქმარი და შვილი ერთმანეთში ერეოდა, ვერ ასხვავებდნენ მამა და ვინ შვილი, ქალბატონო

რუსუდან ამის მეტი რა ინცესტი
გინდათ? თქვენმა შვილმა თქვენნაირი
ცოლი მოიყვანა, ისიც თქვენნაირი
დედა იქნება, მაგრამ ერთის მაგივრად
სამს გააჩენს და კარიერაზეც არ
იფიქრებს არც თავში და არც ბოლოში,
რამეთი მაინც ხომ უნდა ჩამოგრჩეთ.

ვერც თქვენნაირ ღომს ვერ გააკეთებს,
მაგრამ ეცდება, რეცეპტს ჩაიწერს
გულისყურით - “აიღეთ ღომი, ჩაასხით
ნავთი, იდულოს კარგად, ამოზილეთ
და მერე ახეთქეთ თქვენს ქმარს, თან
შეგიძლიათ დესერტად ცეცხლიც
დააყოლებინოთ, ისე რომ იქნებ
გადასცდეს და დაიხრჩოს”.

არის ქალების ტიპი, რომელიც
ყველას და ყველაფერს დედობრივი
მზრუნველობით უყურებს,
ყველასთვის კარგი უნდა და თავისზე
უფროსი ასაკის მამაკაცებსაც დედიკოს
ემახის. ასეთი ლიდერი ყველა
ლიდერზე უარესია იმიტომ რომ

მისი სიყვარული უსაზღვროა, მან არ იცის თავი და ბოლო, ყველაფერს დათმობს და ყველაფერზე წავა, იმიტომ რომ მოქმედებს სიყვარულის სახელით. ისევე, როგორც ღმერთის სახელით ხოცავდნენ ურწმუნოებს და ისევე, როგორც დემოკრატიის სახელით ამყარებენ “მშვიდობას” და მართლწესრიგს შორეულ ქვეყნებში.

ასე ისხდნენ ხოლმე -გვარი-ის ოჯახი მისაღებ ოთახში, შესჩერებოდნენ უტყვი სახეებით ერთმანეთს, განასახიერებდნენ “ოჯახურ იდილიას კვირადღეს” და სინამდვილეში კი ყველამ ყველაფერი იცოდა! ქალბატონი რუსიკო რძალს სთავაზობდა გადაელო კიდევ ერთი ნაჭერი ქათმის ხორცი, ამავდროულად თან ალაგებდა მაგიდას და გულში კი ფიქრობდა ‘ეს ამდენს რო ქამს მაგიტოა კარებში რო ვეღარ გაეტევა მალე’-ო.

რეზი არც არაფერს ამბობდა და

მითუმეტეს არაფერს აკეთებდა
უბრალოდ ფიქრობდა რომ “ავახვიო
დროზე აქედან 7-ზე ფეხბურთი
იწყებაო”, ბატონ ემზარს კი ფიქრით და
კეთებით თავი არასდროს მოუკლავს,
ლაპარაკით კი ბევრს ლაპარაკობდა,
თუმცა მისი მონოლოგის შინაარსი და
თემა ყველასთვის უცნობი იყო. არც
არავის აინტერესებდა.

ყოველთვის სახელითა და გვარით
მოიხსენიებდა მეგობრებს,
თანამშრომლებს, უბრალოდ
ნაცნობებსაც კი. ალბათ იმიტომ, რომ
ამით მათ მნიშვნელობას ხაზს უსვამდა.

რეზის ისიც უკვირდა ამდენ სახლეს და
გვარს როგორ იმახსოვრებსო, მაგრამ
აბა სხვა რა საქმე ჰქონდა, ან მეტი რა
უნდა დაემახსოვრებინა _ მენდელევის
ტაბულა თუ პუშკინის ლექსები?

ძალიან უყვარდა ძილის წინ წიგნის
კითხვა. საყვარელი წიგნი _ „ვინ ვინ
არის“. ამ წიგნს ერთი-ორი წელია

კითხულობს უკვე, მარა ვინ ვინ არის
მაინც ვერ გაარკვია.

საყვარელი ანეკდოტი „შენ ნაზი
(რუსიკო) უნდა გერქვას და კლაუდიას
შიფერიო“ - მეტი ანეკდოტი არც იცოდა
ისე.

მოკლედ, ემზარი არაფრით
მნიშვნელოვანი პიროვნება იყო, და იყო
თუ არა პიროვნება ეგეც კი არავინ იცის,
და არც არავის აინტერესებს.

ისე რა გინდა, ცოლიც მოიყვანა,
ნაშიერიც შეაკეთა და არის ეხლა ფეხი
ფეხზე გადადებული - „რა ენაღვლება?“

რეზის მეუღლე კი ამ დროს იჯდა
ბუსავით, აცეცებდა თვალებს და არ
ქონდა სათქმელი არაფერი, უბრალოდ
რასაც სთავაზობდნენ იმას აკეთებდა.
რასაც არ სთავაზობდნენ იმასაც
აკეთებდა ხოლმე და ზოგჯერ ზედმეტიც
კი მოსდიოდა. ამ ზედმეტობაში,
გადაჭარბებული არ იქნება რომ ვთქვათ
რომ, სულელის შთაბეჭდილებას

ტოვებდა.

აბა როგორ ავხსნათ ის ფაქტი რომ მან, ღამის 3 საათზე 30 ჭადი გამოაცხო, და თითოეულში სიყვარული და გრძნობა ჩააქსოვა. თუმცა არავის უკითხავს ხატუასთვის, იქნებ რამე აწუხებდა, ან იქნებ გაგიჟდა. ან იქნებ აღარ უნდოდა ასეთი ცხოვრება, ან იქნებ საერთოდ აღარ უნდოდა ცხოვრება, და უბრალოდ რადგან სთავაზობდნენ, იმიტომაც ვერ თქვა უარი და პრინციპით “რა მენადვლებათ” ეჭიდებოდა ცხოვრების ჭაპანს.

კვირა დილა

მას შემდეგ, რაც გუშინ ღამე სახლში ფეხით მოვედი, რაღაც შეიცვალა თითქოს ჩემში, უცებ მივხვდი რომ არ მჭირდება არავინ. რომ მინდა რომ თავი მარტო, მიტოვებულად და დაჩაგრულად ვიგრძნო, მაგრამ არ

გამომდის. ყველაფერი არის მარტივი და კონკრეტული. მე და რეზის “არაჩვეულებრივი” და ჩვენთვის უკვე ჩვეულებრივი სალამო გვქონდა, რაც ღამეში გადაიზარდა და რაც დასრულდა იმით, რომ წამოვედი სახლში ფეხით, ისე რომ არაფერი მიგრძენია.

დღეს დილას კი გავიღვიძე და მივხვდი რომ მჭირდება თავისუფალი სივრცე, თავისუფალი რეზისგან, პოლიტიკისგან, ამინდის პროგნოზისგან, სამსახურისგან, და ყველა მეგობარისგან თავისუფალი, სივრცე სადაც არ ექნება ადგილი გრამატიკულ შეცდომებს და უხასიათობას.

იმისთვის მჭირდება რომ განვვითარდე, რომ ოთხ ფეხზე მოსიარულე პდეროდაქტილია თუ ვილაც მაიმუნისგან განსხვავებით შემეძლოს გავამართლო ჩემი არსებობა. რომ როცა

მკითხავენ რა გააკეთეო ცხოვრების განმავლობაში, შემედლოს გულში მაინც გავიფიქრო რომ გავაკეთე იმაზე მეტი ვიდრე 3 ჩემნაირი არსება. თუმცა კი ამ არსებების გაკეთების შესაძლებლობა ყველაზე დიდი შესაძლებლობაა.

იმიტომ რომ რაც არ უნდა გააკეთო, ის რაღაც, ვერ ისუნთქებს, ილაპარაკებს, იფიქრებს, იაზროვნებს, ეყვარება და მიიღებს გადაწყვეტილებებს ერთადროულად.

ამ შთაგონებით გავიღვიძე კვირას დილით, შევისუნთქე ჩემი “თავისუფალი სივრცე” და დავიწყე ფიქრი რა უნდა ვუყო, თუმცა დიდი არაფერი იდეები მომივიდა და გადავწყვიტე რომ თავისუფალი სივრცე იმის თავისუფალია, რომ არ დაგეგმო და მიუშვა თავის დინებაზე.

სწორედ ამ დინებამ გაღვიძებიდან ერთ საათში მიმიყვანა აბაზანაში, მიმაღებინა ნელ თბილი შხაპი და ყავაც

კი გამაკეთებინა, მერე სიგარეტზეც მომიკიდა და ზუსტად ისევ ისე როგორც არ ენაღვლებოდათ არაფერი, ემზარს, ხატისას, რუსიკოს და სხვა მრავალს, მეც გავხედე ჩემი აივნიდან საბურთალოს სასაფლაოს პეიზაჟს და ირონიული სახით შევაბოლვე სიგარეტის კვამლი. და ფილმი რომ ყოფილიყო თვალსაც ჩავუკრავდი ვიდეოკამერას.

მერე რეზიმ დარეკა და ჩემი თავისუფალი სივრცისგან დარჩა მხოლოდ ერთი კუთხე მისგან აუთვისებელი. საღამოს სადმე გავისეირნოთო. მეც დავთანხმდი, აბა რა მექნა. თუმცა კი ვიცოდი რომ “საღამოს რამე ვქნათ” მისთვის არაფერს ნიშნავდა. შეიძლება გვექნა და შეიძლება სულაც არ დაერეკა.

ისე, ჩემთვის უმიზეზოდ მისთვის კი მიზეზიანად. მე კი იმ იმედით რომ საღამოს სადმე გავდივართ,

მთელი დღე არაფერს ვგეგმავდი და
6 საათიდან ყოველ 5 წუთში ერთხელ
ტელეფონს ვამოწმებდი.

მერე დავჯექი ტელევიზორთან
ტელეფონი გამოვრთე და
წარმოვიდგინე როგორ არ ახსოვს
რეზის რომ დღეს რამის გაკეთებას
ვაპირებდით, როგორ ლაპარაკობს
ვილაცებთან ტელეფონზე, როგორ
იცინის. მეც გამეღიმა, მერე გავხსენი
ჩემი ნოუთბუქი და დამავიწყდა რეზიც
და მისი გეგმებიც.

ლა პრიმავერა

ჩემი ბავშობის ოცნებაა.

პრიმავერას ისტორია

ეს არის „ჩემი“ ჩანაწერი, ანუ
მე მაინც მუზეუმში ვმუშაობ. და
რალაც სტატია უნდა დავწერო რალაც
ნახატზე, მაგრამ სტატია წესით
უნდა იყოს მეცნიერული, მე კიდე ეს
დავწერე ესეთი უაზრო, იმიტომ რომ

შეყვარებული ვარ. სტატუას რაღაც
სახელი უნდა ქონდეს მეცნიერული,
მარა ჯერ არ ვიცი რა.

ეს ნახატია. ბოტიჩელის პრიმავერა.

როცა ზევსი, დასავლეთის ქარის
მიუხედავად, ნიმფა ქლორისს შეეხო,
წელზე ხელი მოხვია და თვალეში
ჩახედა, ქლორისს ცოტა შეშინდა,
მაგრამ ბოლომდე მიენდო. მის მხარს
ჩამოაცალა სამოსი და თავისდა
უნებურად გადაიქცა ფლორად -
ზაფხულის ქალღმერთად.

ქარი ჩადგა. და სამყაროს სიმწვანე
მოეფინა. ფლორა კი ახლა მშვიდი
და უკიდევანო მზერით უცქერის
აყვავებულ და მწვანე ტყეს.
ფეხმძიმედაა და ელოდება, როდის
მოევლინება ქვეყანას ვენერა -
სიყვარულის ქალღმერთი.

როდესაც ვენერა იბადება, დასავლეთის
ქარი თმას უწეწავს მის დედას
და ეს ყველაფერი ჰგავს მითს და

სინამდვილეს ერთ დღეს დაბადებულს.

ვენერა სიყვარულით გარშემორტყმული უსასრულოდ შორს იყო და თან მიწაზე, არაფერია მისთვის გარშემო მოცეკვავე ნიმფები. სამი გრაცია. ისინი უფრო ახლოს არიან სიყვარულთან და უფრო გრძნობენ, იმიტომ რომ ვენერა მათი დედოფალია. ისიც ფეხმძიმედაა, რადგან დასავლეთის ქარი ყოველთვის მასთანაა და მის გარშემო.

მიუხედავად დაბურული ტყის, ძალიან შორს, ისე რომ ახლოს მოგეჩვენება ცა მოჩანს, დასავლეთის ქარის ფერი. რატომ უყურებს მერკური ცას? იქნებ უნდა რომ წვიმა მოვიდეს და კიდევ ერთხელ დაიბადოს ვენერა. როგორც უკვე ერთხელ და როგორც ყველასთვის, ისიც მისი დედოფალია, რომელსაც ყოველთვის დაიცავს, თუნდაც საკუთარი თავისგან, რადგან ძნელია არ გიყვარდეს ვენერა, ზეციური არსება, რომელიც მიწაზე დადის და მას

რომ უყურებ იცი, რომ ზეცა ჩამოიქცა,
სიყვარულში დაიღვარა და შობა
სიყვარული, რომელსაც წითელი კაბა
აცვია.

როდის ჩამეძინა არ მახსოვს. დილას
რომ გავიგღვიძე ისევ მეძინებოდა და
სამსახურში კი მაგვიანდებოდა.

ლელას მესიჯი მომივიდა. მესიჯის
ტექსტს რომ ვკითხულობდი თან
მისი ხმა მესმოდა!!!! „Rogor xar? Sad
xar?“ ცოტა ჩახრეწილი და ღრმა ფუ
შენი, გავიფიქრე, დილიდანვე უნდა
დამთარსოს რაა... მერე ლიფტშიც
შემხვდა და ზუსტაც ვიცოდი, რომ ეს
დღე ჩემთვის დაკარგული იყო.

ლელა ჩემი კოლეგაა, ამბიციური,
ნაგლი, არ ეზარება 24 საათის
განმავლობაში რომ იყოს ბრძოლაზე
ორიენტირებული. თან სულ იღიმის,
ცდილობს ვიმეგობროთ, უცებ გულს
გადამიშლის ხოლმე და უსასრულოდ
და მდუმარედ შეუძლია მიყუროს

თვალეში. თვალეი კი ბოროტი აქვს, ვუყურებ ხანდახან და ვერ ვხვდები რა ამოდრავებს, რითი უდგას სული. ვინ უყვარს ნეტა, ან რო ვუთხრა ლელა, შენ შიგ ხო არ გაქვს მოდი აზზე - მიხვდება? მგონი ეგ ვერასდროს ვერაფერს მიხვდება, და არც არის საჭირო ისე. სულ რაღაც უნდა, უბრალოდ არაფერს გეტყვის, რა კარგი ამინდიაო რო ამბობს მაშინაც ცდილობს რომ ამინდის თემა გადავიდეს რომ სადმე წავიდოდა დასასვენებლად და რო ფული არ აქვს და რო რა ცოტა ხელფასს გვიხდიან და იქნებ ლადოს დაველაპარაკო.

ასერომ, როცა იწყებს რაიმე ზოგადზე საუბარს, მე წინასწარ ვეუბნები, ლადო დღეს არ იქნება, ან არ მცალია, ან წარმოდგენა არ მაქვს. სულ ერთი 5 წინადადებაა სტანდარტული, ერთხელ რომ დაიმახსოვრებ, სულ რიხინ-რიხინით მიდის მერე. ერთადერთხელ გამაკვირვა ლელამ, თურმე ძმა ყოლია საგიჟეთში, ფული მართლა არ აქვს

არასდროს, მაგრამ ყოველ შაბათ-
კვირას დადის სადღაც ბედიაში, ისე
მითხრა არავის არ უთხრაო - ცხვენია
- და ნერვები ეშლება, ისიც იცის რომ
ვერ გათხოვდება ვერასდროს, ასეთს
ვინ მოიყვანს ცოლად. ძმას კიდევ არ
დავიკიდებო, თუნდაც ვერ მიცნოსო.

ეს რო მითხრა, მაშინ მივხვდი რომ
მჯერა ადამიანების კეთილი საწყისის
და რომ ყველაფერს ვჭამ. ყველაზე
სულელურ ტყუილსაც. ლელამაც
ეტყობა იგრძნო რომ მე რაღაც გული
შემიტოკდასავით და გადაწყვიტა რომ
მე მისი მეგობარი ვარ, ვისაც ტკივილს
გაუზიარებ.

ჰოდა მწერს მას მერე ყოველ საღამოს
მესიჯებს. როგორ ხარ? რას შვები?
ხანდახან ისეთ უაზრობას მომწერს რომ
ვერაფერს ვერ ვპასუხობ. მაგალითად:
„Bankshi vikavi, nervebi momishales“.
რა ვუპასუხო? და რა საინტერესოა რას
ელის? ალბათ იმას, რომ შევიცოდო

უბრალოდ, მე კიდევ ბოროტი ვარ და არ მეცოდება, არ ვწერ არაფერს. ამაზე მერე იგრუზება მემგონი და სალამოს მომწერს: „Shen agar memegobrebi?“

ნუ რა თქმა უნდა ლელას უბედური სიყვარულის ისტორიაც აქვს. ერთი კაცი უყვარს. ოღონდ იმას რა უნდა ვერ გაიგო, მაგრამ ნუ უყვარს მაინც და რა ქნას. მე მიყვება ყველაფერს, ამან რა უთხრა იმან რა უპასუხა, ამას რა განცდები ქონდა, იმას რა განცდები არ ქონდა. ოეეეეეეეეეეეეეეე დავიღალე ცოტა. თან უნდა რომ ვურჩიო, დავაკვალიანო რა ქნას, როგორ მოიქცეს, როგორ მოიგოს მისი გული. მე ვის რა უნდა ვურჩიო აბა? ერთხელ ვუთხარი, წადი „შახმატი“ ითამაშე მეთქი ან ჭოგრიტში გაიხედე, გაერთობი-თქო, და ეწყინა. ტფუი. გაგიხმეს ეგ თავი ლელა, რა უბედური ხარ რა გეშველება?

3 წელია ყოველ დღე ერთი

გზით დავდივარ სამსახურში,
თვალდახუჭული რომ დამსვა მივალ.
ყველა შუქნიშანზე წითელი როდის
აინთება ზუსტად ვიცი.

ძირითადად სულ ერთი განწყობა
მაქვს. დილას ცოტა დაღლილი,
ნერვებმოშლილი (ალბათ საცობისგან,
დილიდანვე რომ იწყება) ცოტა
კომფორტულადაც ვგრძნობ თავს - ჩემს
სახლში ვარ, და ჩემი მანქანა მართლაც
ერთადერთია, სადაც მე ვარ მეფეც და
დედოფალიც.

სადამოს რომ ვბრუნდები
სამსახურიდან, შებინდებულია ხოლმე
და ისევ გაუთავებელი საცობები.

რადიოს უწევ ხმას და ნერვები მეშლება
სულელურ რეკლამებზე, ვალუტის
კურსზე, ახალ ამბებზე, მანქანებზე
უაზროდ და უდროოდ რომ გიჭრიან
გზას, ნომრებით STE801, VIP786,
BOT100, JEMALI, PAVLE, KRETINI IDI-
OTI VERGITAN REZIMIYVARXAR

> დიალოგები

GAIBABANA



TEA says: hey mate. rogor miakvs?

K-M says: ras gulisxmob, gaachnia :)

TEA says: cxovrebas :)

K-M says: you know, i feel very, how to say..

TEA says: xo nu...

TEA says: "how to say" sakmarisia

K-M says: but i feel as if i know what i'm doing.

K-M says: memgoni gagagebine xo.

K-M says: :)

TEA says: ki :)

K-M says: ho

TEA says: dges mteli londonis magaziebi shemoviare da soundcard

ver vikide

K-M says: gautavdat? :)

TEA says: cxovrebaa es? xo. tan card ar

makvs online ro

sheukveto

K-M says: ertxel nikastan avedi saxlshi, erti
8 clis cin

K-M says: zevit, binashi da shen da natia
ikavit magastan

K-M says: aivanze

TEA says: vaa eg maxsovs mara shen ara

K-M says: ogond mashin ar gicnobdit ar-
certs. da magitom ar

gaxsovar.

TEA says: kurzweil-i edo loginze

K-M says: hoda kakraz soundkartaze baz-
robdit ragacas

K-M says: aivanze veceodit sigarets da shen
da nika bazrobdit

soundkartaze

TEA says: eg mudmivi temaa

K-M says: :)

TEA says: :)))

TEA says: baloons aketebda mashin. blue
baloons in sky

TEA says: chven ar gvkonia xo aranairi
urtiertoba im balkonze?

K-M says: hoda magas geubnebi, ceretelma
tkva ro xutasdolariani

karta chavdgio tu ragaca agar maxsovs da
me vtkvi ro metki

memgoni xutasdolarianze dzviri karta agar
arsebobs metki. da

shen gamackvetine dzan uxeshad, rogor ar
arsebobso. ogond vabshe 16

ar shemogixedavs. da metki vinaa es..

K-M says: :)

TEA says: :))))))haha

K-M says: ogond yasnia gavatare imito ro
saundkartebis azze ar

vikavi da nu martali ikavi yasnias :)

TEA says: :))))

K-M says: prosto chem carmodgenashi 500
dolarini saundkarta iko

pataloki

TEA says: mashin dzaan sxvanairi vikavi
'(:))))))))))))) haha

K-M says: tbilisshi ro chavedi pirvel dges
xo ofisshi ragac

pontshi ramdenime kaciani group perfor-
mance konda sastavs

iprovizirebuli. kvela ixsenebda tavis worst
gachxervas

K-M says: :)

TEA says: hahahahaha

K-M says: mere ai imeebshi roa

K-M says: eskimosebs ro 14 sitkva aqvt
tetris agsanishnavad

TEA says: :))))

K-M says: eget pontshi

K-M says: vixsenebdi sitkvebs romelic
agnishnavs gachxervas

TEA says: veniko babania

K-M says: hoda daicko

K-M says: xaxa-xa

K-M says: gaichxira

K-M says: gaibabana

K-M says: gaizizina

TEA says: gaidzgvitina

K-M says: xa-xa-xa

TEA says: dapriatnda

K-M says: mixvdi xo rac xdeboda:)

K-M says: xa-xa-xa-xa-xa

TEA says: gveli miushva

K-M says: xa-xa-xa-xa

TEA says: venikos asiamovna:))))

TEA says: minda egeti tamashi:))))))

K-M says: cudad var

K-M says: ho, kuchashi vtamashobdit magas ai shen ro dareke.

K-M says: :)

TEA says: arcivi sheisva mxrebze

K-M says: xa-xa-xa

TEA says: saprangetshi cavida

TEA says: :))))

K-M says: magari iko!

TEA says: xooooo17

TEA says: ehhh

TEA says: ese mgonia msoplio chempionati ro ikos mag tamasshi movigebdi

> ესემესები

ODD SMS SET



პროექტი ODD SMS SET 2004 წელს შეიქმნა და ონლაინ პროექტის სახით 2008 წლამდე არსებობდა. პროექტს საფუძვლად უდევს პირადი ესემესების ნებაყოფილობითი გამოქვეყნება მათი ავტორების ან ადრესატების მიერ

შეტყობინებებში არსებული პირადი ინფორმაციის დაცვის (დაფარვის) პირობით.

2008 წელს ესემესების პროექტის პირველი ბეჭდური გამოცემა მოხდა ჟურნალ “ანაბეჭდის” დამატების სახით. მოგვიანებით ჩაირთო ესემესების მიმღები ონლაინ პორტალი avtopiloti.blogspot.com, სადაც მსურველებს დღესაც შეგიძლიათ თავიანთ მობილურებში არსებული მოკლე ტექსტური შეტყობინებების ატვირთვა, “ავტოპილოტი” კი მათ საუკეთესო ნიმუშებს თავის გამოცემებში შემოგთავაზებთ.

22072013 5:20

gamegviza da vegar vidzineb:(raxdeba partyze, tu gzinavs ukve?

21072013 13:38

shechema arvar:)

21072013 13:21

gailitse?:)

21072013 12:43

Trance? what were you takin? xatva ascorebs,meditation sort of. xval chamovdivar. martla rafer gazeli 2 dge up?

>>>>>>>

21072013 02:03

Tsamo festze

21072013 02:03

jer ar arsulxar? garet var me da gamogivli

21072013 02:05

ok

<<<<<<<

20072013 01:24

gogoebis perevesia dges, magram chemi
imedi ar gkondes:)

20072013 00:42

es mogcere: vai! sad gagaxsendi. ai vibride-
bi, gushin operacia gavikete. guess what

19072013 21:38

Batum, all wet. Mike Sterns ar dauckia yet,
vot tak...

19072013 11:16

roca zugdidshi chaxval damimesije, nu
damirekav. mshvidobit imgzavre, gkocni

17072013 00:26

Rom amovedi tavis kartan damxvda
avcharkis gamometkvelebit da vutxari giji
xartko da mivujaxune kari mteli dzalit:) 6
missed call mkonda bolo naxevar saatshi,
tan icoda sadac vikavi.

16072013 00:43

mekide titlikana vagdivar da kvela fanjara
gia maqvs. shens kvels mivadeqi <3 :)

15072013 19:13

Akcia iko dges. unda daeckot dzaglebis
morigi xocva da meriastan shevikribet,
mere vigaceebi shevidnen mosalaparake-

blad da davitanxmet sterilizaciaze. agar
daxocaven

14072013 14:43

Gushin girao sheufarda sasamartlom. Sh-
emdegi ikneba 4 seqtembers

12072013 23:31

Chavfushfushdi matklis sabanshi:) *****s
unda daaalebino tavi?:)

12072013 22:26

da kvelafertan ertad netic chedavs

12072013 21:30

Ak var gavdivar da isev moval

12072013 12:52

Dodolis gavesaubret:)

26052013 01:44

Magidastan chamomezina:)

26052013 00:33

Aba weekendebze adre armikvars dadzine-
bao?:)

25052013 12:48

Amindi baseins itxovs))

25052013 10:19

Sorry medzina ukve:)) laboratoriumshi
vikavi cota xani da saxlshi cavedi.

24052013 21:10

Ra aqcia? <magtifun.ge>

24052013 14:15

:)))) ara sareklamoა, ragac bandzi cvenebit vaketeb:)

23052013 19:49

Dzaan. Vigats tipebi amekidnen da kina-
gam konfliktshi shevedi, velurebi! Auzze
movedi unda davmshvidde:)

23052013 17:49

Egec latenturi homofobia mgoni:) ar gecki-
nos

23052013 17:16

ოზიკაა ერთი ფორუმელი, ჰოდა იმან

იხუმრა თავის გვერდზე და დებილმა
ჟურნალისტებმა დააკოპირეს [http://
www.newposts.ge//cnobili-adamian-
ebis-frazebi/13296-qeti-dolidze.html](http://www.newposts.ge//cnobili-adamian-ebis-frazebi/13296-qeti-dolidze.html) :)
„დებილი“ პირობითად რომ ვთქვათ...

23052013 16:24

ar matkueb arafers?

22052013 19:24

mascavlebelma mitxra vasadze ganatlebis
minsitrad undato da piri davage

21052013 15:16

esaa samze mand viknebio?:(:)

21052013 11:41

ara, movitmen da 10 cal's shevcham:)

20052013 22:58

Shedi da qvemot sadats bokeriaze da chergeze tsers imis qvemot commentebi tsaikitxe

20052013 17:58

Chama loginshi ro ar gikvars?:)

20052013 14:12

Kitchenetshi dodolis grmad dzinavs:) fshvinnavs:)

19052013 15:46

Prasis fxali xom ginda? da sheni cili torti?

17052013 20:59

Couscous ginda tu chai? :)

17052013 13:17

Rogorc lunchis dros gairkva, aq momush-ave xalxis umetesoba homofobia

17052013 12:03

Homofobebi, xenofobebi, klounebi da ertujredianebi sheikribnen ukve martlmadideblobis saxelit:(“ar gavatelinebt fexqvesh chvens girsebas”

16052013 22:11

Ra debili xar:) Exla movedi da chavrte:)

14052013 10:53

dila mshvidobisa. Jurnal Cityshi **** *is
interviua, sakvareli tsigni “samoseli pirveliao” da sakvareli sporti fexburtis kurebao:) Rato gevaseba xolme aseti idiotkebi ar vici:)

10052013 10:18

daagviane ra

07052013 13:13

Sharvali, quslebi, maika da pijaki:)

03052013 20:30

shen gay iknebodi

17052013 18:33

Ak ro iko guli agereoda

16052013 20:13

Mankana gavachere trakshi

12052013 14:15

Mishisteb's salaparako miecat

10032013 17:18

“ra undoda grubels sxva..” :(

25022013 23:45

Ara okupacias :)

23022013 00:33

Moval male. ar daidzino!

22022013 19:03

Ki. Mezizgebian kvelani.

21022013 22:45

Bowlings vtamashobt xval chemi kaci
midis probably forever. cota slabi dgeebi-
makvs. magram eg araferi, zaan kai!)

21022013 16:33

Metoduri, upretenzio da sexualuri

19022013 22:25

Gaichaliche xo:)

>>>>>>

19022013 19:51

Vukureb exa da ramxela carmodgena aqvs
tavis tavze am idiots

19022013 19:42

tsiteli plastmasis cxviri unda kondes
mimagrebuli da bavshvebs artobdes

19022013 19:39

au shonzo ro ikneba rame sapesuxismgeblo
tanamdebobaze kvekana kiara cirxia

<<<<<<<

13102012 23:27

Georgian dream fb gverdze dapostes
“igrdzenit mitsisdzvra? Jer sad xart!” – shig
ar aqvt?:)

02102013 17:43

Sagamo mshvidobis tu ocnebobdi gilocavt
xval breketebze 6 saatze :)

14092012 12:18

Kutaisshi vart, meshchanobis samshobloshi
:)

27082012 21:36

dges game 00:30-ze caze aixede da mtvares-
tan gverdit planeta marss dainaxav.

18082012 13:05

Gavnavozi movida:))) aq ro iko magrad
ikaifebdi, englishrussiaa chems azoshi lol:)

01082012 21:39

Kide eg mindoda?:)

01082012 21:19

***** pasiansebs shlis. erti valeti chaifiqreo
da shen chagipiqre da sxva qali kavso:(:)

14072012 18:10

Ar mkitxo:) 3 dgeshi gamovchndebi

23052013 19:24

Bandzobaa cxovreba itogshi. mshurs im
xalxis vinc ase ar fiqrobs

10052012 16:17

d****m dges xeli moacera:) tavi kulpshi
gako da skamic gadaakirava:))

08052012 20:26

rasshvrebi? exla gavigvidze, gipsi momx-
snes gushin da exla fixatori miketia, dam-
atsinaures:) shen gadacemas ver mivuscari
imges da mere netshi vedzebdi, myvideo da
eget saitebze magram ver vnaxe da sadme
deevs rom vnaxo? dzaan mainteresebs ro-
gori gamovida? ra magari amindia ara? vce-
var kavas vsvam gia fanjrebtan da dzaan
msiamovnebs. shen rasshvrebi taynaman?

26042012 17:38

Shens nachukar spermas vinaxav, magid-
aze midevs:) salpetkebisgan ro gaakete da
mesrodi gaxsovs?

25042012 22:14

arafers ar miketebs, 10 cutshi gamov-
al. shen latexebi chaicvi da asheiniki
gaamzade:)

009022012 23:52

I finally got payed for what I do best haha.
erti suli mkonda rodis mogikvebodi

22072013 03:49

2 dgea tbilisis zgvaze trance festivalze vart
didi sastavi da xshirad maxsendebi tranceze
ironiis pontshi:)

17072013 00:25

Raznica gaaq zuzuebze?

16072013 23:36

svanetshi var me. cota pasuxi ki damigvian-
da ise. mand albat vsio po staromu) kobu-
letisken xoar uberav, mensona iqaa mgoni.
artur xeilis “otel” vipove aq)hollywoodia

15072013 20:03

hoda carmoidgine bolosken ukve zan fxize-
li vikavi,kvelaferi mesmoda da agvikvamdi.
mdinare, chitebi,xeebis xma, ro vqanaob
hamakshi, magram imina ver vixsenebdi
sadvar da vinvar da gavifikre “ai albat esaa
prasetlenie” da magazec gamecina)

14072013 03:58

Bijo kelsaxvevebi damrcha da sheminaxet)
zilinebisa

23032013 13:45

Bodishi momixade da sagamos kinoshi
cavidet tarantinoze

26012013 11:44

vicodi ro magas metkodi specialurad
mogcere) kvemot monitorebi dgas said-
anac sheizleba ukuro darbazs. es sackali
katami bavshvebi ro sxedan kurtkebshi
da chadraks tamashoben metireba aset
ragaceebze

26012013 11:25

es chadrakis sasaxle sufta
sadodovetia, klassika janra. damlagebeli da
administratori registraturashi spiralian
plitastan ro choraoben

21082013 23:57

kide zgvaze xar bozushka? damtavrda sezoni, chabargda xalxi) ui exla gamaxsenda satknaurod ro midiodi. nu kak?

15082012 01:49

pelmeni chavkaret amcutas me da chemma dam. agrilebula ise kalakshi)

25052012 17:08

1ml spermashi mkonia 65 spermatozoidi. rac davanzrie imashi kofila 195 cali, akedan cocxali 90%. velodebi misagebshi :)

04082013 14:07

borjomis bazarshi vart. g****s bednierebis cutebi aqvs)

>>>>>>

04082013 02:21

kriste m&ms rato ver chams ici?

04082013 02:24

xelebi aqvs gaxvretili! :(:)

04082013 02:27

kide erti momikva magram is uzrdeluria:)

<<<<<<<

02082013 13:10

rogorxar? chauricxe shen bavshvebs?

01082013 12:02

cuxel rogorc amacale sabani ro maxsendeba
gijivit mecineba

28072013 19:54

Carmen McRae how long has this been going on. Es is track-ia, T***s gaaxsenda:)

26072013 23:05

mojet maxniom poslezavtra?

26072013 21:31

Mtlad zapoi ar itkmis magram arc shorsaa:)

26072013 17:31

**** 60 lar matxove ra tu gaq sashinlad mchirdeba plz

26072013 12:10

gushindeli incidenti ro maxsendeba cudad vxdebi. ro eceme im imbecilebs ra unda mekna. patrolshi ki davrekavdi magram

sanam movidodnen

07052012 21:23

K*** rogor xar? chemi megobris nomers vedzebdi imasac K*** kvia da sheni nomeri vipove da mivxvdi rom dzaan momenatre. martalia gviania dzalian magram mainc mogcere. menatrebi da ikneb vnaxot ertmaneti. cina shabats ekspediciashi viyavi da mashinac gamaxsendi sheni cikvina xmit :) am weekendze ikneb gadaveyarot sadme ertmanets :**

06052012 10:43

vitom eseti mxiaruli xar arada yvelapers gatyob didi xania. sul saidumloebshi rato xar? p.s. kuboebi isev mesizmreba :))

24042012 11:19

me gio var marketingis menegeri unicardis

u?

17042012 18:01

Mari de aq gadaugeblad wvims iqneb
matareblit wamoxvide? mainc ufro us-
afrtxoa mand rogori amindia?

05122012 23:00

Modixar tu yle xar?

03052012 22:47

Ara dedi gogoebi mamebs emsgavsebian,
krishnas shvili ro iyo didi cxviri gekneboda

05052012 19:06

Ravi saxshi vzivar da vpiqrob dagpatijo tu
ara sadme an gcalia tu ara an gviani xom
araa an rogor gaigeb chem shemotavazebas,

mokled achrili var da damakvaliane :-)

21042012 00:08

kveyana ki ara sexshopia

14012012 06:13

ძალიან გთხოვ დილის 6 საათზე ნუღარ
დამირეკავ. დეიდაჩემმა გაიღვიძა და
ძალიან არ მესიამოვნა

20062012 20:17

shlopanci unda chavicva

18072012 15:43

rogor xar? facebookidan da skypeidan
cagshale. ver gagafrtxile radgan kazbegshi
ikavi.gkocni

18072012 04:38

sigije iko.sizmarshi megona tavi.

09012013 17:29

nu factia rom farisevlad mtvli, egec sakmarisia :)

01062013 14:23

ravi,kleurad:)dagavickda ro tbilisshi var shechema?:)<3<3

>>>>>>>

02112012 16:32

Nu kak ti, le petite prince ? :)

02112012 16:35

U menya vse ok, a u tebya Jesus ? :) ochen segodnya vajniy den, pogelay mne udachi!!

<<<<<<<<

>>>>>>>

02112010 20:53

Maria Callas slushayu, grusno i romantichno vsyo eto, v ulice ne vixadil isho, sabirayus za internet vecherom Prince..

02112010 20:54

Ya obojayu Bacha i Rameau Jesus !!

02112010 20:54

Ya obajayu tebya !! :)Ya chuvstvuyu etu distanciyu i obajayu ego..

02112010 20:56

:) ee

<<<<<<<<<

08112010 16:55

Sentimental violence>>>Violently happy
:-) - eto ya pridumal dlya tebya, daryu :) x

Kofe pyu s Depeche Mode

22072013 07:49

ho, marto cavedi da ukve bolomde gateneb-
uli iko, chveulebrivi dgesavit, magram
kacishvili ar chachanebda, saertod aravin ar
iko arsad da magari silamaze iko:) su odnav
ro irxeva simcvane tvalebshi:) kvela tripis
ragac etapze kargia tu marto kofnistvis
moitoveb dros saertod.

23072013 17:28

რადაც ძილქუში დამეცა მოკლედ.
გასვლისას ფეხისგულზე რატო არ
მაკოცე! :)

25072013 13:58

chemi cxovrebis asacecad

2508213 14:59

xo eget idiotur eventebze sul egre
var:) mini kaba da muki kalgotka
kusebze,zustad maxsovs mag dgis chac-
muloba:)

23072013 18:40

chagezina 2 dgis nagulavebs?

23072013 18:20

kaltashi chamideb tavs da iavnana
gingero?

24052013 20:03

moica bavshvs vban da mogcer

28042013 23:57

mcxeta gamogrcha

01062012 11:48

ki zaan gavxurdit, telefonic mivakarge
kinagam, mankanashi iko kide kai! sad
ibodiale?

19122012 17:35

50% saaxaltslo pasdakleba “Synevo” gldanis
lab. centrshi! sisxlis saerto+shardis saerto =
12,50 lari! tsaradginet SMS da miiget mom-
saxureba

03062012 13:57

ragac ucnaurad xar gamkrali,
momenatre,dges 8dan lenkas kafeshi misho
ukravs and bring your ass over there mo
therfucker,finlandiebi,chachacha,an

davtsinot vakelebs an rame,nu xar sadgats
chachedili,gamoniavdi

06072012 21:33

gadaudebeli randevu damaintrigeblad
jgers,she mkvlevaro (tu mklevaro?ai
metsnierebi ra, agmomchenebi, ragats sit-
kvebshi avirie, i'm so fuckin high)

06072012 21:36

imitom rom sul ragac kvals misdev mgo-
nia, minishnebebs, vigatsis kvals kiara
ragacis,that always stays a mystery.ise
exa su erti patternia kvelafershi,moutkan
matematika samkaros.pesimisturad ki ar
vambob,magicebic arsebobs yasna mara
egenic dzaan mematematikureba,exa es
mere es ukve vici ra ris mere.mara kaia
moulodnelobebi cotaxani mezareba,ragats
gamexsna:)tsera gamiscorda:)kai cavedi da
aba shen ici viva jaques cousteau

15052010 16:38

kai fexebi vis ar evaseba

30042011 22:12

ndaa sheni pankuri suli igvizebs periodulad
eseigi

06072012 21:39

sad var da gushindelis mere vtknaurob
nonstop,xoda exa shesvenebaa da tipi
gaikca telefoni ver gamagdebina:) xoda ras
misdev ar vici,magram echvi mepareba
rom ragac dzalian magars.

06072012 21:56

well,hmm,kargi gatsvlaa,tan pirvelad
camoxvedi garigebaze memgoni,saxelma
aramgonia rame gitxras,ar icnob,ase rom ar
vici ramdenad gigirs kartebis gaxsna:)

ესემესების ავტორები:

მაია ბარათაშვილი

ირინა ბეგიაშვილი

ბექა

თამუნა ბოჭორიძე

ლელა ბოჯგუა

მერიკო გუბელაძე

გიო

გეგა გულედანი

ლალი გულედანი

ნინო დარასელი

ზურა კაციტაძე

ირინა კავილაძე

თეა კუჭუხიძე

თამარა

თინა

გელა კუპრაშვილი
დათო ლეჟავა
ლაშა
ლევან ნუცუბიძე
დათო უჯმაჯურიძე
თამუნა ჯერვალიძე
თეონა ცინცაძე
ირმა
Jesus
Kniaz Mastermind
N
Scooterovna

და ბევრი სხვა, ნებით თუ უნებლიედ
ანონიმურად დარჩენილი ადამიანი.

